დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

(სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელენე კალანდაძე

წევრები:

ნატო კლდიაშვილი წევრი, ხარისხი

თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მამუკა ხაჩიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მაკა ინაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245437692

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ბათუმი, აკაკი წერეთლის ქუჩა N42
საფოსტო ინდექსი	**6200**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Batumi11@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	593336377

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 07 აპრილის MES 7 26 0000415482 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	06-07 მაისი 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, აკაკი წერეთლის ქუჩა N42, შენობა - 1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, აკაკი წერეთლის ქუჩა N42, შენობა - 1
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, აკაკი წერეთლის ქუჩა N42, შენობა - 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მიმდინარე წლის 06-07 მაისს სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს- სკოლის დირექტორს,

სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექიმს და სხვა პირებს. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**
სტანდარტი 1 **სკოლის ფილოსოფია**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
მოსწავლეთა რაოდენობა: 687	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	სკოლაში ამჟამად ირიცხება 561 მოსწავლე და სასწავლო პროცესი უკვე ორგანიზებულია ორ ცვლაში. სკოლის ინფრასტრუქტურული რესურსების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ თვითშეფასების ფორმაში მითითებული 687 მოსწავლის ზღვრული რაოდენობის უზრუნველყოფა შესაძლებელია ორცვლიანი სასწავლო პროცესის პირობებში.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	რეკომენდაცია**:** სკოლამ უზრუნველყოს დაწყებითი კლასების პედაგოგების მიერ მუსიკის, ხელოვნებისა და სპორტის სწავლების პროცესში შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ან სასწავლო პროცესის ორგანიზება იმ პირების მიერ, რომლებიც აკმაყოფილებენ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამასთან, სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების განმახორციელებელი პირის შესაბამისობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებთან და მოიპოვოს/წარმოადგინოს ექიმის დამოუკიდებელი საექიმო

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		საქმიანობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტი.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის დამატებითი კვლევის ჩატარება და შესაბამისი უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში 3/11/2026- 3/11/2028
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის შემდგომი ადაპტაცია სსსმ მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად და ყველა სასწავლო სივრცეზე სრულფასოვანი ხელმისაწვდომობა , შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში 3/11/2026- 3/11/2028
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
2.2.2.4		სკოლას მიეცეს რეკომენდაცია, უზრუნველყოს მუსიკის, ხელოვნებისა და სპორტის საგნების სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვა, მათ შორის სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის სისტემური შეგროვება, ანალიზი და შედეგების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისა და შემდგომი განვითარების პროცესში.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	რჩევა

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N...		
3.2.1.1	სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სკოლას მიეცა რჩევა დანერგოს პერსონალის შეფასების პროცესი, მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, ურთიერთდასწრება, უკუკავშირის დოკუმენტირება და შეფასების შედეგების ანალიზი. ასევე, შეფასების შედეგების საფუძველზე განსაზღვროს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებები და დაგეგმოს შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობები
3.2.1.3	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრული პროფესიული განვითარების მექანიზმების პრაქტიკაში სისტემური განხორციელება, თანამშრომელთა ინდივიდუალური პროფესიული საჭიროებების რეგულარული იდენტიფიცირება და შეფასების შედეგებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვა და დოკუმენტირება.
3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	სკოლამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სკოლის რეალურ პრაქტიკასა და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე მორგება, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა და დოკუმენტით განსაზღვრული პროცესების პრაქტიკაში ეტაპობრივი დანერგვა.
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

	სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი N 4.2.2.2.	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/ მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით	სასურველია სკოლამ საბაზო და საშუალო საფეხურზე კარიერული განვითარების მიმართულებით დაგეგმოს რეგულარული საინფორმაციო შეხვედრები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან შეხვედრები და უკეთ დაადასტუროს განხორციელებული აქტივობები შესაბამისი დოკუმენტაციითა და მტკიცებულებებით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1.	დაწყებითი საბაზო საშუალო	მათემატიკა - კარგი იქნება, თუ ყველა საფეხურის მათემატიკი კურიკულუმებში მოსწავლეების-თვის უფრო მკაფიოდ და ცხადა იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერ

		ყველა კონტექსტ-მაგალითი, პროექტი თუ შემოქმედებითი დავალებ იდეა/პირობა მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვ საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული ი ელექტრული მასალა, სიმულაცი-ები, ნახატები, ნახაზებ განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ. სახელმწიფო ენა - კურიკულუმების თავფურცელში მითითებული იყო ჯამური საათობრივი განაწილება წლიური ან სემესტრული საათობრივ დატვირთვის სახით. ტექნოლოგიები: სასურველია, თითოეული კომპლექსური დავალ მეტად მკაფიოდ დაუკავშირდეს კონკრეტულ სამიზნე ცნებას, საკითხ და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგს, რათა კიდ უფრო გაძლიერდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცეს
ინდიკატორი N 2.1.2.2.	დაწყებითი საბაზო საშუალო	მათემატიკა - მიზანშეწონილია ყველა საფეხურის მათემატიკ კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითებ დავალების იდეა/პირობა, მიზანი, კშემოქმედებითი დავალებები მა შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყ განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედებ იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისი გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლ განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლ განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმებ ნაკლებად შეიცავენ კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავ პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარ მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლებ პროცესში. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური (მათემატიკის ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და მუსიკის, მათემატიკის ხელოვნების, მათემატიკის და პოეზიის, მათემატიკის და მხატვრობის

		სხვ.) საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში აამაღლე სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმ სწორ დამოკიდებულებას. განათლების მისაღებად საკმარისი არ არი მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამე ცოდნის კომპლექსურად მიღება, რაც მოსწავლეებში განამტკიცებ საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაშ წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში. გარდა ამისა, ეხმარე მოსწავლეებს კვლევითი უნარების და მკვლევარის თვისებები ჩამოყალიბებაში. სახელმწიფო ენა - კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები.მათში სათანადოდ აისახოს და დამუშავდეს საფეხურისა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ტექნოლოგიები: სასურველია კურიკულუმში თემატური საკითხები, სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები უფრო ზუსტად დაუკავშირდეს ეროვნული სასწავლო გეგმის თემატურ ჩარჩოსა და კონკრეტული კლასის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. ასევე, რეკომენდებულია შეფასების კომპონენტებისა და სასწავლო აქტივობების პერიოდული გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სრული შესაბამისობა მოქმედ სტანდარტთან და სასწავლო მიზნებთან.
ინდიკატორი N 2.1.2.3.	დაწყებითი საბაზო საშუალო	ესთეტიკური აღზრდა - სასურველია, დაწყებითი და საბაზო საფეხურის მუსიკის კურიკულუმებში ჩაშენდეს ის მრავალფეროვანი დამატებითი რესურსები, რომელთა გამოყენებაზეც პედაგოგებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს და რომლებიც ცალკე დოკუმენტის სახით წარმოად” ჯგინეს.

		სახელმწიფო ენა - მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, სასურველია განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე (მე-6 კლასში) რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. ტექნოლოგიები: სასურველია თითოეულ თემასა და კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით უფრო მკაფიოდ განისაზღვროს გამოყენებული რესურსების დანიშნულება და კავშირი სასწავლო შედეგებთან. რეკომენდებულია რესურსების შერჩევა განხორციელდეს თემის სპეციფიკის, მოსწავლეთა საჭიროებებისა და დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს მათი პრაქტიკული და საგანმანათლებლო ეფექტიანობა.
ინდიკატორი N 2.1.2.4.	დაწყებითი	ტექნოლოგიები: სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო ფორმის სრულყოფილად შევსება მოქმედი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. სასურველია, მიღწევის ინდიკატორები ჩამოყალიბდეს სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე დაყრდნობით და თითოეული სამიზნე ცნების ფარგლებში მკაფიოდ გამოიკვეთოს დასაფარი საკითხები.
ინდიკატორი N 2.1.2.5.	დაწყებითი საბაზო საშუალო	მათემატიკა - მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებლებმა უფრ მეტი ყურადღება გამოი-ჩინონ დავალებების შერჩევისა და მათ შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავე-ბაში. გადაამოწმო მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქ ფიზიოლოგიურ შე-საძლებლობებთან, რამდენად მორგებულ პორტალზე განთავსებული დავალების შეფა-სების კრიტერიუმებ სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების სწავლის და ათვისები

		დონესთან. თუ მასწავლებელი თვლის, რომ პორტალებზ წარმოდგენილი მასალა მისი მოსწავლეებისთვის რთულია/იოლია დ საჭირო შედეგებზე გასვლას ვერ უზრუნველ-ყოფს, მოახდინონ მის კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლო-ბებს. სახელმწიფო ენა - შეფასების რუბრიკების შექმნისას სამივე საფეხურზ გამოკვეთეთ მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზ ცნებებთან მიმართებით. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდ გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს. ტექნოლოგიები: სასურველია, განმავითარებელი და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკების ეტაპობრივი განახლება მოქმედი საგნობრივ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. სასურველია შეფასებ კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს კონკრეტულ შედეგებსა დ ინდიკატორებზე დაყრდნობით, შეფასების დონეები იყოს მკაფიო განსაზღვრული, ხოლო ძველი სტანდარტისთვის დამახასიათებელ კომპონენტები ჩანაცვლდეს მოქმედი სტანდარტის შესაბამის მიდგომებით.
ინდიკატორი N 2.2.1.1.	დაწყებითი	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია დაწყებითი საფეხურის (V კლასი) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ტექნოლოგიები: სასურველია, ცალკეულ თემებისა და საკითხების გადახედვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; ტექნოლოგიების საგნობრივ სტანდარტთან უფრო ზუსტი შესაბამისობის უზრუნველყოფა და თემატური ჩარჩოს შესაბამისად საკითხებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი კორექტირება.

ინდიკატორი N 2.2.1.3.	დაწყებითი საბაზო	სახელმწიფო ენა - საბაზო და საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მოსწავლეს დაუზუსტდეს ქულები კრიტერიუმების მიხედვით. ტექნოლოგიები: სასურველია შეფასების ინსტრუმენტების მეტად დეტალიზება შეფასების დონეების მიხედვით, შეფასების პროცედურების გამჭვირვალობის გაძლიერება და შეფასების კრიტერიუმების ერთგვაროვანი ფორმატით წარმოდგენა.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	დაწყებითი საბაზო საშუალო	მათემატიკა - მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს (გრიფირებული სახელმძღვანელოები-დან დაწყებითი საფეხური კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას, რომლები თარგმნილია ქართულად და ზოგიერთი ტერმინის დასახელე მთარგმნელის მიერ რამდენადმე განსხვავდება ქართულ ენაშ მიღებული და დამკვიდრებული ტერმი-ნებისგან. ვთვლი, რომ როგორ სილაბუსებში, ისე მათემატიკის გაკვეთილებზე გამოყენე-ბული უნდ იქნეს ქართულ ენაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებულ მათე-მატიკური ტერმინები, ადგილი არ უნდა ქონდეს სწავლები სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე შინაარსის მქონე ცნები სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინე-ბის გამოყენება ესთეტიკური აღზრდა - სასურველია, კურიკულუმებში უფრო სრულად აისახოს ის მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და რომელთა შესახებაც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს,ასევე ის რესურსები რომელიც პედაგოგებმა დამატებით მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოადგინეს . სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში აისახოს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე

		რესურსები. სასურველია (განსაკუთრებით VI კლასის)კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.
ინდიკატორი N 2.2.2.2.	დაწყებითი საბაზო საშუალო	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია შემუშავებული და გამოყენებულ იქნას სასწავლო რესურსების ვალიდაციის ფორმა.
ინდიკატორი N 2.2.2.3.	დაწყებითი საბაზო საშუალო	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია სკოლას ჰქონდ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია .
ინდიკატორი N 2.3.1.1.	დაწყებითი საბაზო საშუალო	სასურველია სკოლაში უფრო მეტად დაინერგოს კითხვარებისა და სისტემური გამოკითხვის პრაქტიკა მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ჩართულობით, რაც ხელს შეუწყობს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და კურიკულუმის განვითარების პროცესის კიდევ უფრო ეფექტიან დაგეგმვას.
ინდიკატორი N 2.4.1.2.	დაწყებითი საბაზო საშუალო	სასურველია სკოლამ უფრო ეფექტურად გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები — სისტემური კითხვარები, ანონიმური გამოკითხვები, ფოკუსჯგუფები და რეგულარული საკონსულტაციო შეხვედრები მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების აზრის უფრო სრულყოფილად შესწავლას, ჩართულობის გაზრდასა და კურიკულუმის განვითარებაში მათი აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.1.2(4); ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად'' შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვის) ვადაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. **სკოლის ფილოსოფია**

1.1. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

1.1.1. **სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის პიროვნულ, მოქალაქეობრივ, ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებაზე, ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემაზე, კრიტიკული აზროვნების, პასუხისმგებლობის, ტოლერანტობისა და ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, რაც თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის ხედვა ორიენტირებულია უწყვეტ განვითარებაზე, თანამედროვე გამოწვევებზე ადაპტირებასა და თავისუფალი, კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. ამასთან, დოკუმენტში ხაზგასმულია სკოლის როლი ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში, რაც ასევე შეესაბამება ზოგადი განათლების მიზნებს. შესაბამისად, **1.1.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

წარმოდგენილი მისიისა და ხედვის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა საკუთარ როლს აღიქვამს არა მხოლოდ როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებას, არამედ როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო, მხარდამჭერ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. დოკუმენტებში ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე, ტოლერანტული გარემოს შექმნაზე, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, ეკოლოგიური ცნობიერებისა და სოციალური უნარების ჩამოყალიბებაზე. ამასთან, სკოლის ხედვა ორიენტირებულია თანამედროვე გამოწვევებზე ადაპტირებულ, თავისუფალი და კომპეტენტური პიროვნების აღზრდაზე, რაც მიუთითებს, რომ სკოლა საკუთარ საქმიანობას განიხილავს როგორც მოსწავლის აკადემიური, სოციალური და კულტურული განვითარების მხარდამჭერ გარემოს.

დირექტორთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა აცნობიერებს უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს მნიშვნელობას და აღნიშნულ მიმართულებებს განიხილავს სასკოლო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად. შესაბამისად, **1.1.1 (2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მათი მხრიდან გაზიარებულ პასუხისმგებლობას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობდნენ სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები. ჩართულობა განხორციელდა სხვადასხვა ფორმით: სამუშაო შეხვედრები, ჯგუფური განხილვები, გამოკითხვები და უკუკავშირის შეგროვება. სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყო პროცესის კოორდინაცია და მიღებული მოსაზრებების ანალიზი, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა შეთანხმებული და ერთიანი ხედვა. შესაბამისად, **1.1.1 (3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იქნა სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სამუშაო შეხვედრების, მშობელთა კრებებისა და დირექტორის მიერ განხორციელებული განმარტებითი შეხვედრების ფარგლებში. აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას სასკოლო საზოგადოების წევრებს (პედაგოგებს, მშობლებსა და მოსწავლეებს) მიეცათ შესაძლებლობა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიეღოთ სკოლის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში. მოსაზრებების სისტემატიზაციის მიზნით განხორციელდა წერილობითი უკუკავშირის შეგროვება, რომლის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა შეთანხმებული ხედვა სკოლის მისიისა და ღირებულებების შესახებ. აღნიშნული პროცესის საბოლოო შედეგად შემუშავდა სკოლის ფილოსოფიის პროექტი, რომელიც ასახავს სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვას, ღირებულებებსა და პრიორიტეტებს და წარმოადგენს სკოლის განვითარების საფუძველს.შესაბამისად, **1.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, რომელთანაც წვდომა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.ამასთანავე, აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია. შესაბამისად, **1.1.1 (5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''. ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, **1.1.1 (6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
3. საჯარო რეესტრის ამონაწერი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. **სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

1.2.1. **სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის ძირითად პრინციპებს, ეტაპებს, პროცესში ჩართულ მხარეებსა და სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმებს. დოკუმენტი ადგენს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს.მეთოდოლოგიაში ერთ-ერთ ძირითად პრინციპად განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობა და მათი პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სამუშაო ჯგუფების ფორმატში, ასევე დოკუმენტების პროექტების გაზიარებისა და უკუკავშირის მიღების გზით. ამასთან, მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინფორმაციის შეგროვებისათვის სხვადასხვა კვლევითი მეთოდის გამოყენებას, მათ შორის გამოკითხვისა და ინტერვიუს ფორმატს.დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მონაწილეობენ დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი, სასკოლო საზოგადოება, მათ შორის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები. ასევე, გაწერილია მიღებული რეკომენდაციებისა და უკუკავშირის საბოლოო დოკუმენტებში ასახვის მექანიზმები.წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებაზე ორიენტირებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მექანიზმები.შესაბამისად**, 1.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა განსაზღვრულია როგორც 2023-2030 წლების შვიდწლიანი განვითარების დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. დოკუმენტში აღწერილია, რომ სტრატეგია განსაზღვრავს სკოლის განვითარების მიმართულებებს არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და დამატებითი შესაძლებლობების მოძიების გზით. ასევე, აღნიშნულია, რომ გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა როგორც წინარე გამოცდილება, ისე თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა. სტრატეგიული გეგმა მოიცავს SWOT ანალიზს, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, ხოლო მიღებული შედეგები გამოყენებულია სტრატეგიული მიმართულებებისა და მიზნების ფორმირებისათვის. დოკუმენტში განსაზღვრულია შვიდი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება, მათ

შორის სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და ორგანიზაციული განვითარება. თითოეული მიმართულება მოიცავს შესაბამის სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და შესრულების პერიოდს, რაც მისიისა და ხედვის განხორციელებაზეა ორიენტირებული. სტრატეგიული გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგი წარმოადგენს შვიდწლიან, ციკლურ დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და შეიცავს მისიასთან შესაბამის სტრატეგიულ მიზნებსა და მათთან დაკავშირებულ ამოცანებს.შესაბამისად, 1.2.1 (2) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მასში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები, რესურსები და განხორციელების ვადები. სამოქმედო გეგმის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ მიმართულებებთან, მათ შორის: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერა და ორგანიზაციული განვითარება. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები და მონიტორინგის მექანიზმები, რაც მიუთითებს, რომ სამოქმედო გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულია სკოლის საჭიროებები და პროცესების შეფასების შედეგები. წარმოდგენილი დოკუმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და ორიენტირებულია სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განხორციელებაზე. შესაბამისად **1.2.1 (3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, განხორციელების ვადები და საჭირო რესურსები. დოკუმენტში თითოეული მიმართულების ფარგლებში დეტალურადაა გაწერილი დაგეგმილი აქტივობები და მათი შესრულების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროცესების ორგანიზებულ დაგეგმვასა და მონიტორინგს. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები ძირითადად დაკავშირებულია შესაბამისი დოკუმენტაციის, ანგარიშების, ოქმების,

მონიტორინგის შედეგებისა და განხორციელებული აქტივობების არსებობასთან, რაც იძლევა შესრულების შეფასების შესაძლებლობას. ასევე განსაზღვრულია აქტივობების განხორციელების კონკრეტული პერიოდები და პასუხისმგებელი პირები, მათ შორის დირექცია, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარების ჯგუფები, დამრიგებლები და სხვა ჩართული სტრუქტურული ერთეულები. დოკუმენტში მითითებული რესურსები, მათ შორის არსებული რესურსები, ბიუჯეტი, საგანმანათლებლო რესურსები, შესაბამისი სპეციალისტები და გარე მხარდაჭერის შესაძლებლობები, შინაარსობრივად დაკავშირებულია დაგეგმილ აქტივობებთან და მათი უზრუნველყოფა წარმოდგენილია როგორც რეალისტური. შესაბამისად
1.2.1 (4) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. **სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ მონიტორინგი უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის შესახებ სანდო ინფორმაციის მიღებას, საზოგადოების ნდობის ზრდასა და დასახული მიზნების შესრულებაზე ორიენტირებულ პროცესს. მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვების, შეფასების, ანგარიშების წარმოდგენისა და შესაბამისი შედეგების ანალიზის გზით. ამასთან, განსაზღვრულია, რომ მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო, ხოლო თითოეული აქტივობის შესრულებას ენიჭება შესაბამისი სტატუსი — „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის ყოველწლიური ანგარიშისა და სტრატეგიული გეგმის პერიოდული შეფასების მომზადებას, შედეგების საჯაროობასა და საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული მიზნების ან სამოქმედო გეგმის გადახედვის შესაძლებლობას.

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. შესაბამისად, **1.2.2 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს დაკვირვებას, ანგარიშების მომზადებას, შედეგების ანალიზსა და უკუკავშირის მიღების პროცესებს. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, კითხვარების, ინტერვიუებისა და სხვა ფორმატის უკუკავშირის გამოყენებას სტრატეგიული დაგეგმვისა და შეფასების პროცესში. დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას აქვს მზაობა პრაქტიკაში უზრუნველყოს მეთოდოლოგიით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების განხორციელება და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის პროცესში გამოყენება. სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვა, მათ შორის სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის სისტემური შეგროვება, ანალიზი და შედეგების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისა და შემდგომი განვითარების პროცესში. **1.2.2 (2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშების საჯაროობას უზრუნველყოფს მათი სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით. ასევე, მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, აგრეთვე შესაბამისი ინფორმაცია, შესაძლებელია გაზიარებულ იქნეს სკოლის ვებ-გვერდის, სოციალური ქსელის, ელექტრონული ფოსტის, საჯარო განხილვებისა და საინფორმაციო დაფის გამოყენებით. წარმოდგენილი დოკუმაციისა და დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის მნიშვნელობა და აქვს მზაობა უზრუნველყოს აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.შესაბამისად, **1.2.2 (3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. დოკუმენტის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაცია გამოიყენება შემდგომი სამოქმედო გეგმების განსაზღვრის, სტრატეგიული მიზნების გადახედვისა და განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის. ასევე განსაზღვრულია, რომ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია სამოქმედო გეგმის ცვლილება და სტრატეგიული მიმართულებების დაზუსტება. ამასთან, მეთოდოლოგია ითვალისწინებს SWOT ანალიზის გამოყენებას, რომლის შედეგებიც საფუძვლად ედება მომდევნო სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და სკოლის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრას. წარმოდგენილი დოკუმაციისა და დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენების მნიშვნელობა სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში და აქვს აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვის მზაობა. შესაბამისად**, 1.2.2 (4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში
3. კითხვარები (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი);
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
5. პედაგოგიური საბჭო სხდომის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. **პერსონალის მართვა**

3.1.1. **სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილია თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მმართველობით, ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო მიმართულებებთან დაკავშირებულ რიგ პოზიციებსა და სტრუქტურულ ერთეულებს. თუმცა, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ცალკეული პოზიციებისათვის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული არ არის. კერძოდ, დოკუმენტში არ იკვეთება ექიმის, სპეციალური მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის ასისტენტის, საინფორმაციო მენეჯერისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის პოზიციებთან დაკავშირებული მოთხოვნები, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პოზიციები ორგანიზაციულ სტრუქტურაშია ასახული. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილია ექთნის პოზიცია, თუმცა სკოლაში აღნიშნული საშტატო ერთეული ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტის მიერ სკოლას მიეცა რეკომენდაცია თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტის დაზუსტებისა და სკოლის რეალურ ორგანიზაციულ სტრუქტურასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, სკოლამ უზრუნველყო დოკუმენტის კორექტირება და წარმოადგინა დაზუსტებული ვერსია, რომელშიც ასახულია შესაბამისი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შესაბამისად, **3.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქცია-მოვალეობების მარეგულირებელი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია მათი საქმიანობის სფეროების შესაბამისად. ორგანიზაციულ სტრუქტურაში განსაზღვრულია მმართველობითი, ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და მხარდამჭერი ერთეულები, ასევე მათი ურთიერთკავშირი და ჩართულობა სასწავლო პროცესის განხორციელებაში. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის კოორდინირებულ და ეფექტიან განხორციელებას. შესაბამისად, 3.1.1(2) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
2. სტრუქტურა;
3. სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები;

3.1.2. **პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის მართვის, შერჩევის, პროფესიული განვითარების, შეფასებისა და შრომითი ურთიერთობების ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს. დოკუმენტი ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და მასწავლებელთა საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს. დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შერჩევისა და დასაქმების წესები, საკონკურსო პროცედურები, თანამშრომელთა ადაპტაციის, პროფესიული განვითარების, შეფასებისა და მოტივაციის მექანიზმები, ასევე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან

დაკავშირებული საკითხები. ამასთან, განსაზღვრულია, რომ თანამშრომელთა შერჩევა და მართვა ხორციელდება ობიექტურობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლების/სპეცმასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კონკურსის გზით, ვაკანსიების teacherjobs.ge პლატფორმაზე გამოქვეყნების საშუალებით. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ კონკურსის პროცედურები, მათ შორის საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება, სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მექანიზმები და მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.შესაბამისად, 3.1.2(1) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა** სკოლის

წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი ეფუძნება საჭიროებების იდენტიფიცირებას, კადრების შერჩევის გამჭვირვალე მექანიზმებსა და პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს. სკოლის დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ დასაქმებულის დროებითი არყოფნის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ფუნქციების გადანაწილებას სხვა თანამშრომლებზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ფორმდება ხელშეკრულება შემცვლელ თანამშრომელთან, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. ამასთან, სკოლის შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, მათ შორის დასაქმებულთა უფლებებსა და ვალდებულებებს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმებს, შეფასებისა და საჩივრების განხილვის მექანიზმებს. წარმოდგენილი ინფორმაციისა და განმარტებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან და უწყვეტ განხორციელებას. შესაბამისად**, 3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცედურებს, რომლებიც ეფუძნება ობიექტურობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და კოლეგიურობის პრინციპებს. დოკუმენტის მიხედვით, მასწავლებლის, მასწავლებლობის მაძიებლისა და სპეციალური მასწავლებლის მიღება

ხდება კონკურსის გზით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ღია კონკურსის შემთხვევაში ინფორმაცია საჯაროდ ქვეყნდება teacherjobs.ge პლატფორმაზე. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება შესაბამისი ვაკანტური პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო პირობები, რომლებიც საჯაროდ ქვეყნდება teacherjobs.ge პლატფორმაზე. დირექტორის ბრძანებით ასევე იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის შემთხვევაში წარმოდგენილია ნასამართლობის შესახებ ცნობა. ასევე, ყველა დასაქმებული თანამშრომლების პირად საქმეებში წარმოდგენილია ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც მიუთითებს, რომ სკოლა პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესში ითვალისწინებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.. შესაბამისად, **3.1.2(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლის პერსონალის (მასწავლებლების გარდა) პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და მოქმედ კანონმდებლობას. თუმცა, გამოიკვეთა, რომ სკოლის ექიმს არ გააჩნია დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც სავალდებულოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. ხოლო მასწავლებლების პირადი საქმეებისა და საათობრივი დატვირთვების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები ფლობენ შესაბამის პროფესიულ სტატუსს. თუმცა ამასთან, გამოიკვეთა, რომ დაწყებითი კლასების პედაგოგები დამატებით ასწავლიან მუსიკას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და სპორტს, თუმცა მათ არ აქვთ დადასტურებული ზემოაღნიშნული საგნობრივი კომპეტენცია. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ითვალისწინებს, რომ მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს იმ საგნის სწავლებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რომელსაც ასწავლის. შესაბამისად, მხოლოდ დაწყებითი განათლების პედაგოგის სტატუსის ფლობა ვერ ჩაითვლება მუსიკის, ხელოვნებისა და სპორტის სწავლების საკმარის საფუძვლად, თუ დამატებით არ არის დადასტურებული შესაბამისი საგნობრივი კომპეტენცია, სკოლამ 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია

2027 წლის სექტემბერი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი, რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც **„მეტწილად შეესაბამება“.** სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** უზრუნველყოს დაწყებითი კლასების პედაგოგების მიერ მუსიკის, ხელოვნებისა და სპორტის სწავლების პროცესში შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ან სასწავლო პროცესის ორგანიზება იმ პირების მიერ, რომლებიც აკმაყოფილებენ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
ამასთან, სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების განმახორციელებელი პირის შესაბამისობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებთან და მოიპოვოს/წარმოადგინოს ექიმის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტი.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების სხდომების ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას წარმართავენ თანამშრომლობასა და კოლეგიურ მუშაობაზე დაფუძნებული მიდგომით. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები რეგულარულად ატარებენ სხდომებს, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმების სახით.საგნობრივი კათედრების საქმიანობის ანალიზით იკვეთება, რომ კათედრის წევრები მონაწილეობენ კურიკულუმების დაგეგმვასა და საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზებაში, ერთმანეთს უზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა პროექტსა და სასწავლო აქტივობას. ასევე ფიქსირდება კათედრებს შორის თანამშრომლობა საერთო საგანმანათლებლო ინიციატივების დაგეგმვის პროცესში.წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებსა და მრჩეველთა საბჭოს განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმები, რომელთა შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას და განიხილავენ როგორც დაგეგმილ, ისე საჭიროებიდან გამომდინარე საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კოლეგიური განხილვისა და კენჭისყრის საფუძველზე.დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე ასევე დგინდება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულნი არიან როგორც პედაგოგები, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის შესწავლის შედეგად კი იკვეთება მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში, მათ შორის თვითმმართველობის საქმიანობის დაგეგმვისა და წარმომადგენლების არჩევის პროცესში.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობას, მონაწილეობით მართვასა და გუნდურ მუშაობას. შესაბამისად, **3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებსა და აქტივობებს, ხოლო მათი აღიარებისა და გაზიარების მიზნით შესაძლებელია ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება, ინფორმაციის სკოლის ვებ-გვერდზე ან სოციალურ ქსელში განთავსება და სხვა ღონისძიებების განხორციელება. ამასთან, დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების ფორმები, მათ შორის მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერას.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომელთა წახალისების პრაქტიკა, თუმცა მისი გამოყენება მეტწილად დამოკიდებულია შიდა ინიციატივებზე და ნაკლებად არის ფორმალიზებული ერთიანი სისტემის სახით. შესაბამისად, **3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებლის ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
4. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების დამტკიცების ბრძანება
5. შრომითი ხელშეკრულებები;
6. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. **პერსონალის განვითარება**

3.2.1. **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში განსაზღვრულია მონიტორინგის, ურთიერთდასწრების, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, უკუკავშირის გაცემისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის მექანიზმები. ასევე, პოლიტიკა ითვალისწინებს შეფასების შედეგების საფუძველზე პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. თუმცა, შესწავლის პროცესში სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთან, სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად იკვეთება სკოლის მზაობა, ეტაპობრივად უზრუნველყოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვა და განხორციელება.

სკოლას მიეცა რჩევა დანერგოს პერსონალის შეფასების პროცესი, მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, ურთიერთდასწრება, უკუკავშირის დოკუმენტირება და შეფასების შედეგების ანალიზი. ასევე, შეფასების შედეგების საფუძველზე განსაზღვროს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებები და დაგეგმოს შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობები.**3.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავრორიზაციას 3.2.1 (2) ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშემწყობ მექანიზმებს. დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა საჭიროებების იდენტიფიცირებას, პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებსა და საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას, ასევე პროფესიული ცოდნისა და უნარების შეფასებისა და

პროფესიული მხარდაჭერის პროცესებს. ამასთან, დოკუმენტით განსაზღვრულია შესრულებული სამუშაოს შეფასების, მოტივაციისა და პროფესიული განვითარების დაგეგმვის მექანიზმები.

რჩევა: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრული პროფესიული განვითარების მექანიზმების პრაქტიკაში სისტემური განხორციელება, თანამშრომელთა ინდივიდუალური პროფესიული საჭიროებების რეგულარული იდენტიფიცირება და შეფასების შედეგებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვა და დოკუმენტირება.შესაბამისად, **3.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციისა და ადაპტაციის მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესი მოიცავს ორგანიზაციული კულტურის, ფუნქცია-მოვალეობებისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობას, ასევე სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში ჩართვის ხელშემწყობ აქტივობებს. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია დირექტორის მოადგილის, კათედრის თავმჯდომარის, საინფორმაციო მენეჯერისა და სხვა პასუხისმგებელი პირების როლი ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესში, რაც მოიცავს ინფორმაციის გაზიარებას, პროფესიულ მხარდაჭერასა და სამუშაო პროცესთან ადაპტაციის ხელშეწყობას. დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმები და სკოლაში არსებობს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მის ჩართვას სამუშაო პროცესში. შესაბამისად, **3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის პროფესიული განვითარებისა და ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა გეგმავს და ახორციელებს პროფესიული განვითარების ღონისძიებებს, ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობას ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებსა და საგანმანათლებლო პროექტებში, ასევე უზრუნველყოფს გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის პრაქტიკის განვითარებას. ამასთან, დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომელთა წახალისების ფორმებს, მათ შორის წარმატებული საქმიანობის აღიარებას, პროფესიული მიღწევების გაზიარებასა და სხვადასხვა მოტივაციის მექანიზმის გამოყენებას. დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. **3.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. **პროცესების მართვა**

3.3.1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ძირითად მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში უნდა ჩამოყალიბდეს პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მოიცავს პროცესების დაგეგმვის, შეფასების, უკუკავშირის, რეკომენდაციების გაცემისა და მათი შესრულების მონიტორინგის ეტაპებს.

თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტი ნაწილობრივ ატარებს შაბლონურ ხასიათს და სრულად არ არის მორგებული სკოლის რეალურ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და პრაქტიკაზე. ამასთან, ამ ეტაპზე ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი ჯგუფი შექმნილი არ არის და დოკუმენტით განსაზღვრული პროცესები პრაქტიკაში დანერგილი და განხორციელებული არ არის.

რჩევა:
სკოლამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სკოლის რეალურ პრაქტიკასა და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე მორგება, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა და დოკუმენტით განსაზღვრული პროცესების პრაქტიკაში ეტაპობრივი დანერგვა. **3.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა განსაზღვრავს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტის მიხედვით, მმართველობით პროცესებად განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა, ძირითად პროცესებად — კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება/მართვა, ხოლო დამხმარე პროცესებად — განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლეთა სერვისები, საბიბლიოთეკო მომსახურება, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება და სხვა პროცესები. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია, რომ თითოეული პროცესი უნდა იყოს აღწერილი შესაბამისი დოკუმენტის სახით და მოიცავდეს პროცესის მიზანს, შედეგს, პროცესში ჩართულ და პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. შესაბამისად, **3.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს დასაქმებულთა უფლებებთან, შრომით ურთიერთობებთან, დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან, წახალისებასთან, განცხადებებისა და საჩივრების განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტებში განსაზღვრულია თანამშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმები, ასევე შრომითი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის

პირობები. ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილი შიდა რეგულაციები ითვალისწინებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების, კომუნიკაციისა და საჩივრების/განცხადებების განხილვის პროცედურებს, რაც ემსახურება მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. 3.3.1(3) **ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში თანაბრად სარგებლობენ კანონმდებლობითა და სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლეთა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და ვალდებულებები — სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების სახეები, მათი განხილვის პროცედურები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

მშობელთა ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა სკოლის მიმართ დადებითი დამოკიდებულება და ნდობა. მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია მათთან ეფექტური კომუნიკაცია, ინფორმაციის დროული მიწოდება და სხვადასხვა საკითხზე თანამშრომლობა. მათი შეფასებით, სკოლის ადმინისტრაცია და პერსონალი ყურადღებით ეკიდებიან მოსწავლეთა საჭიროებებს, უზრუნველყოფენ უსაფრთხო და მხარდამჭერ გარემოს შექმნას და ოპერატიულად რეაგირებენ წარმოშობილ საკითხებზე. მშობლებმა ასევე გამოხატეს მადლიერება სკოლის დირექტორის მიმართ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომის, თანამშრომლური ურთიერთობებისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობისთვის. ამასთან, მშობელთა ნაწილმა აღნიშნა, რომ თავადაც აღნიშნული სკოლის კურსდამთავრებულები არიან, რაც, მათი განმარტებით, სკოლის მიმართ არსებულ ნდობასა და დადებით დამოკიდებულებას კიდევ უფრო განაპირობებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე**, 3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;

2. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების თაობაზე;

3. თანამშომელთა ხელშეკრულებები;

4. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;

3.3.2. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და შიდა რეგულაციები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმებს. დოკუმენტების მიხედვით, სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას, მათ შორის შეხვედრებს, გამოკითხვებს, ინტერვიუებს, ელექტრონულ კომუნიკაციასა და ინფორმაციის საჯაროდ გაზიარების ფორმებს. ასევე განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა პროცესის დაგეგმვასა და განხილვაში. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობელთა კრებები, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე აწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებისა და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, წლის განმავლობაში იმართება დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით.სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრებების ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. ასევე დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს Facebook-ის პლატფორმას ინფორმაციის გასავრცელებლად, რაც დამატებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები. შესაბამისად, **3.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებით, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული წარმომადგენელი. საბჭო მონაწილეობს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმისა და სასწავლო მასალების, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება და სხვა. პედაგოგიური საბჭო დაკომპლექტებულია საგნისა და სპეციალური მასწავლებლებით და იღებს გადაწყვეტილებებს სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ, ასევე ირჩევს საკუთარ წარმომადგენლებს დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში. საგნობრივი კათედრები აერთიანებს შესაბამისი საგნების მასწავლებლებს, რომლებიც მონაწილეობენ სასწავლო მასალის შერჩევაში, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და განიხილავენ შეფასების შედეგებს. დისციპლინური კომიტეტი დაკომპლექტებულია მასწავლებლის, მშობლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლის თანაბარი წარმომადგენლობით და უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები. მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, მონაწილეობს სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ხელს უწყობს კლუბების ფუნქციონირებას და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები. საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიურ ორგანოებში. შესაბამისად, **3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქუტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. **ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

3.4.1. **სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

   სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი. ასევე წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, კერძოდ სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო-ს მიერ გაცემული ექსპერტიზის წინასწარი დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ვიზუალური დათვალიერების შედეგად შენობის კონსტრუქციულ ელემენტებში გამოვლენილია დაზიანებები/ბზარები. ამავე დასკვნის თანახმად, აღნიშნული დაზიანებები დამატებით კვლევასა და მონიტორინგს საჭიროებს. ამასთან, წინასწარი დასკვნით დაუყოვნებელი ავარიულობის ნიშნები პირდაპირ დადგენილი არ არის.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები სრულად არ არის დაკმაყოფილებული.სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ვადათ მითითებულია 3/11/2026- 3/11/2028, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის დამატებითი კვლევის ჩატარება და შესაბამისი უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება. სკოლას აგრეთვე მიეცა რჩევა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმების შესახებ, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შესაბამისად, **3.4.1(1) ინდიკატორი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით და უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენის შესაძლებლობას. სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი (ექიმი), რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირებას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომლებიც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე გადაუდებელი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს და განსაზღვრავს შესაბამის პასუხისმგებლობებსა და ქმედებებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებულობასა და ეფექტიან განხორციელებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში სამედიცინო დოკუმენტაცია წარმოებულია სრულყოფილად და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების დანართებით განსაზღვრულ ფორმებსა და მოთხოვნებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა. შესაბამისად, **3.4.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია 2 დარაჯი, სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი, სკოლაში დასაქმებულია სსიპ მანდატურის სამსახურის 2 მანდატური. შესაბამისად **3.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის არსებობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში იმართება საინფორმაციო შეხვედრები და ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა/პროექტი, რომლებიც მიმართულია ძალადობის პრევენციის, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებისა და უსაფრთხო სასკოლო გარემოს მხარდაჭერისკენ. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. მოსწავლეებისა და მშობლების ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა სკოლის მიმართ დადებითი დამოკიდებულება. მათი შეფასებით, სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეების მიმართ ყურადღებიანი და მხარდამჭერი გარემო, ადმინისტრაცია და პედაგოგები ოპერატიულად რეაგირებენ სხვადასხვა საკითხზე, ხოლო კომუნიკაცია სკოლასა და ოჯახს შორის არის ეფექტური და თანამშრომლობაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობას. შესაბამისად, **3.4.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში ხელშეკრულებით დასაქმებულია 4 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების სისუფთავესა და მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძების დასუფთავებისთვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია შესაბამისი სივრცე. საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნით განსაზღვრულ, უსაფრთხო და ჩაკეტილ სათავსოში. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სველი წერტილები მოწესრიგებულია, ფუნქციონირებს გამართულად და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენისთვის საჭირო საშუალებებით, მათ შორის საპნით, ქაღალდით,

ხელსახოცებითა და ნარჩენების კალათებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები უზრუნველყოფილია. შესაბამისად, **3.4.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მისი სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხები. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც არეგულირებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს და სავალდებულოა შესასრულებლად. შესაბამისად**, 3.4.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში დაცულია ინფორმაცია მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების შესახებ. დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვისა და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ხოლო სასწავლო პროცესსა და ადმინისტრაციულ საქმიანობაში გამოყენებული პროგრამები/ვებგვერდები არის ლიცენზირებული.

სკოლაში დასაქმებულია საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ასევე ინფორმაციული რესურსების გამართულ მუშაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხოებასა და მონაცემთა დაცვას. შესაბამისად, 3.4.1.7 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სასწავლო პროცესის, უსაფრთხოების მექანიზმებისა და სასკოლო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მრჩეველთა საბჭო უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას, რომლებიც ეფუძნება არსებული პრაქტიკის შეფასებას და მიმართულია უსაფრთხოების მექანიზმების, პროცესების ორგანიზებისა და სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებისკენ. საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ხელს უწყობს სკოლის ეფექტიან ფუნქციონირებასა და უსაფრთხო გარემოს მხარდაჭერას. ამასთან, სკოლას

მიეცა რჩევა**:** სამომავლოდ უზრუნველყოს მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის განხორციელება უსაფრთხოებისა და სასკოლო გარემოს შეფასების მიმართულებით, რათა მიღებული უკუკავშირი გამოყენებულ იქნეს უსაფრთხოების მექანიზმებისა და პროცესების შემდგომი გაუმჯობესებისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, **3.4.1.8 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
2. დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ

დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. **მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

3.5.1. **სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორსართულიან შენობაში. სკოლის ინფრასტრუქტურა მოიცავს საკლასო ოთახებს, ადმინისტრაციულ კაბინეტებს (დირექტორის, მოადგილის, ბუღალტრისა და საქმისმწარმოებლის), სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ ლაბორატორიას, კვების ბლოკს (სასკოლო ბუფეტს), სამედიცინო კაბინეტს, მანდატურისა და რესურს ოთახს, ასევე სველ წერტილებსა და დამხმარე დანიშნულების სივრცეებს. წარმოდგენილი ინფორმაციისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ თითოეული სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გამოიყენება დანიშნულების შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად, **3.5.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ისეთი სივრცეები, როგორიცაა ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სსსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილი რესურს ოთახი და სამასწავლებლო, რომლებიც გამოიყენება დანიშნულების შესაბამისად. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისა და დასვენების შესაძლებლობას.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

შესაბამისად, **3.5.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება. ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევას, წიგნადი ფონდი დალაგებულია კლასიფიკაციის მიხედვით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. შესაბამისად, **3.5.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ არის ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი და სკოლაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილი. ამასთან, სკოლის ყველა სივრცე სრულად ხელმისაწვდომი არ არის ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის. კერძოდ, მათთვის უზრუნველყოფილი არ არის სრულფასოვანი წვდომა ისეთ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო და სასკოლო სივრცეებზე, როგორიცაა სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ვადათ მითითებულია 3/11/2026- 3/11/2028, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის შემდგომი ადაპტაცია სსსმ მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად და ყველა სასწავლო სივრცეზე სრულფასოვანი ხელმისაწვდომობა , შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში **3.5.1(4) ინდიკატორი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.**

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, სკოლა ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი შიდა ეზო, სადაც იმართება სხვადასხვა სასკოლო აქტივობა და ღონისძიება. ასევე, სკოლა სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებისთვის იყენებს სპორტულ დარბაზს. შესვენებებისა და გაკვეთილების დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ რეკრეაციული სივრცით დასვენებისა და არაფორმალური კომუნიკაციისთვის. ამასთან, სკოლაში ფუნქციონირებს კლუბური აქტივობები, სადაც მოსწავლეები იკრიბებიან სხვადასხვა ინტერესისა და ინიციატივის ფარგლებში, რაც დამატებით ხელს უწყობს მათ სოციალურ და თანამშრომლობით უნარების განვითარებას. სკოლის გარემო ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ასევე სასკოლო ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართულობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. შესაბამისად, **3.5.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; აზომვითი ნახაზი;
2. საინვენტარო აღწერილობის აქტები;

3. მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რისთვისაც უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული პერსონალისთვის. საერთო სარგებლობის სამუშაო სივრცედ ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საქმისმწარმოებელი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერის საფუძველზე დგინდება, რომ არსებული ტექნიკური რესურსი საკმარისია სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებისთვის, ხოლო კომპიუტერული ლაბორატორიაში არსებული ტექნიკა ფუნქციონირებს გამართულად. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს ისტ ლაბორატორიის გამოყენების პირობებს. დოკუმენტში განსაზღვრულია მომხმარებელთა უფლებები

(ტექსტის შექმნა და რედაქტირება, საჭირო მასალების მოძიება და გადმოწერა, ელექტრონული რესურსების გამოყენება) და შეზღუდვები (ფაილების წაშლის აკრძალვა, ტექნიკის არასასწავლო დანიშნულებით გამოყენების შეზღუდვა). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური რესურსების ხელმისაწვდომობა და მათი მიზნობრივი გამოყენება. შესაბამისად, **3.6.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. ვიზუალური დათვალიერება;
3. მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

3.6.2. **სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის მიერ წარმოდგენილია საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტაციის მიღების, რეგისტრაციის, გაფორმებისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტში განსაზღვრულია შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაციის წარმოების წესი, ბრძანებების, წერილების, ოქმებისა და ცნობების გაფორმების მოთხოვნები, დოკუმენტაციის აღრიცხვისა და რეგისტრაციის მექანიზმები. ამასთან, წესით განსაზღვრულია დოკუმენტების რეკვიზიტები, ხარვეზის დადგენისა და აღმოფხვრის პროცედურა, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის შესაძლებლობა და შესაბამისი სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოება, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს საქმისწარმოების პროცესის მოწესრიგებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. 3.6.2.1 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვაამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება სხვადასხვა ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. შესაბამისად 3.6.2.2. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool/EMIS) განთავსებული მონაცემების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლას გააჩნია სრულყოფილი პროფილი. სისტემაში ასახულია დაწესებულების საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო ინფორმაცია, მონაცემები სკოლის ადმინისტრაციის, პერსონალისა და მოსწავლეების შესახებ, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია. ამასთან, პროფილი მოიცავს სკოლის საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო არსებით მონაცემებს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სისტემატიზაციასა და ადმინისტრირების პროცესის ეფექტიან წარმართვას.შესაბამისად 3.6.2.3. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან და დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის, ანგარიშებისა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენას. ამასთან, სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი უწყებების მიერ მოთხოვნილ საკითხებზე უკუკავშირის მიწოდებასა და კომუნიკაციის წარმოებას კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. შესაბამისად.**3.6.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1) დირექტორის ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ “;
2) სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი);
3) Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. **სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი skolebi.emis.ge პლატფორმაზე, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. აღნიშნული ვებგვერდი უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ასრულებს საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას.გარდა ამისა, სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, სადაც ფუნქციონირებს სკოლის ოფიციალური გვერდი და უზრუნველყოფილია უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა.ასევე, სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც რეგულარულად ქვეყნდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეები და მნიშვნელოვანი ინფორმაცია.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს ინფორმაციის გავრცელებისა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისთვის.შესაბამისად, **3.6.3.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნული მიზნით გამოიყენება როგორც ოფიციალური ვებგვერდი, ასევე სოციალური ქსელები.სკოლის სოციალური ქსელის გვერდის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია, მათ შორის სასწავლო და შემეცნებითი ღონისძიებების შესახებ, არის სანდო და შეესაბამება რეალურ საქმიანობას, ვინაიდან იგი ვრცელდება სკოლის ოფიციალური არხების მეშვეობით.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სანდო ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. შესაბამისად, **3.6.3.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

   ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი **3.6.3.3.** ვერ იქნება შეფასებული**;**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, სადაც განთავსებულია სრულყოფილი ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ.ვინაიდან სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ქართულ ენაზე, ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია

განთავსებულია ქართულ ენაზე.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შესაბამის ენაზე.შესაბამისად, **3.6.3.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, მათ შორის მისია, ხედვა და ღირებულებები. ასევე გრაფიკული სახით წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურა.ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ, ასევე მოსწავლეთა უფლებებისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ვებგვერდი სრულად შეიცავს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად ინფორმაციას და უზრუნველყოფს მისი ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის.შესაბამისად, 3.6.3.5 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1) სკოლის სოციალური გვერდის ვიზუალური დათვალიერება;

2) სკოლის ვებგვერდის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. **ფინანსური რესურსები**

3.7.1. **სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის ფინანსური ანგარიშისა და ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის ფინანსური რესურსები მიმართულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ფინანსურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2026 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებებისა და საჭიროებების დაფინანსება.ასევე დგინდება, რომ სკოლის ბიუჯეტი მოიცავდა როგორც ვაუჩერული დაფინანსებიდან, ისე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს, რაც გამოყენებულ იქნა სკოლის ფუნქციონირების, საჭირო შესყიდვების, საოფისე ინვენტარის, კომუნალური ხარჯებისა და სარემონტო სამუშაოების დაფინანსებისთვის.სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ფინანსური რესურსები იხარჯებოდა მიზნობრივად და სკოლაში არსებული რეალური საჭიროებების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას.შესაბამისად**, 3.7.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის ძირითადი მექანიზმები. კერძოდ, სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, რაც უზრუნველყოფს ფინანსური გადაწყვეტილებების კოლეგიურ განხილვასა და პროცესის გამჭვირვალობას. სკოლის შესყიდვები ხორციელდება დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო როგორც მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები, ისე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული თანხები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტი იხარჯებოდა მიზნობრივად და რაციონალურად, ხოლო ფინანსური გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა სკოლაში არსებულ რეალურ საჭიროებებს. სასწავლო წლის/საბიუჯეტო პერიოდის დასრულების შემდეგ სკოლა ამზადებს

ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს, რომელშიც ასახულია წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსების მართვის ძირითადი მექანიზმების ფუნქციონირება.შესაბამისად, **3.7.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1) სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
2) სკოლის დირექტორის ბრძანება - სკოლის 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3) სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი -ფინანსური საქმიანობის ანგარიში;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. **მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

4.1.1. **მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შიდა რეგულაციებითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, ასევე ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის მართვის რეგულაციები, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო, თანასწორი და მხარდამჭერი გარემოს შექმნას. მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა უფლებებს, მონაწილეობს სკოლის მართვის პროცესებში და თანამშრომლობს დირექციასთან მოსწავლეთა ინტერესების დაცვის მიზნით. სკოლაში მოქმედი რეგულაციები უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას, თანასწორ ხელმისაწვდომობასა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი „მოსწავლის, პერსონალის, კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი“, ხაზს უსვამს, რომ სკოლა ვალდებულია ყოველდღიურად იზრუნოს თითოეული ბავშვის უფლებების დაცვაზე, ხოლო ბავშვები კი უფლებამოსილნი არიან თავისუფლად გამოხატონ თავისი მოსაზრებები, დააყენონ ინიციატივები, შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად და ა.შ. სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი“. მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დამუშავების ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განთავსებულია სკოლის საინფორმაციო სივრცეში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ასევე, მოსწავლეთა უფლებებთან დაკავშირებული დოკუმენტები — მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, ჩარიცხვისა და მობილობის რეგულაციები და სხვა შიდა აქტები — გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ საკომუნიკაციო არხებში.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას სკოლის შიდა რეგულაციებისა და უფლებებთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ. დამრიგებლის დებულებისა და სადამრიგებლო პროგრამის შესაბამისად, კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციას, ქცევის წესებსა და უსაფრთხოების ნორმებს. შესაბამისად, მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო

რეგულაციები არის გაზიარებული, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლაში მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, რომლის მიზანია მხარეებს შორის ურთიერთობების რეგულირება და მოსწავლის უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა. ხელშეკრულებაში გაწერილია ძირითადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, სკოლის პასუხისმგებლობები, მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები. ასევე, სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით დასტურდება მისი გაცნობის ფაქტი.

სკოლა უზრუნველყოფს ხელშეკრულების პირობების წინასწარ გაცნობასა და მათ ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას სკოლასა და ოჯახს შორის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. დასტურდება

(მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები.
- შინაგანაწესი.
- სადამრიგებლო პროგრამა.
- დამრიგებლის დებულება
- მშობელთა კრების ოქმი.
- ხელშეკრულება მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.
- ვებგვერდი სკოლების პორტალზე.
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პირობები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.
- თვითმმართველობის სხდომის ოქმი.

4.1.2. **სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე, მკაფიო და კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. აღნიშნული პროცედურები გაწერილია შესაბამის წესსა და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში, რომლებიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. დოკუმენტში დეტალურად არის განსაზღვრული მოსწავლეთა ჩარიცხვის ეტაპები, საჭირო დოკუმენტაცია, მობილობის პროცედურები, საფეხურის დაძლევის პირობები, ასევე სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის მექანიზმები. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას სკოლის ვებგვერდის, საინფორმაციო დაფისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით.

რეგულაციები ითვალისწინებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს, თანასწორ ხელმისაწვდომობასა და სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს. ასევე, სკოლა სტატუსის შეჩერებამდე ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, მათ შორის მშობელთან კომუნიკაციასა და სოციალური მუშაკის ჩართვას საჭიროების შემთხვევაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით განსაზღვრულ მექანიზმებს. სკოლაში აღნიშნული

პროცესები ხორციელდება შესაბამისი წესებისა და პროცედურების დაცვით, რომლებიც დეტალურად არის გაწერილი შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა რეგისტრაციის, მობილობისა და სტატუსის მართვის პროცესების გამჭვირვალედ და თანასწორი ხელმისაწვდომობის პრინციპით განხორციელებას. ჩარიცხვისა და მობილობის პროცესში დაცულია დადგენილი ვადები, მოთხოვნები და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის პროცედურები.

სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის შემთხვევაში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, მათ შორის მშობელთან კომუნიკაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლაში სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების, შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის ქცევის წესების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია. სკოლა უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და რეგულაციების განთავსებას საინფორმაციო სივრცეში, სკოლის ვებგვერდსა და სხვა საკომუნიკაციო არხებში.

სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები — შინაგანაწესი, მოსწავლეთა ჩარიცხვისა და მობილობის წესი, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, უსაფრთხოებისა და ქცევის ნორმები — ხელმისაწვდომია მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. ასევე, სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს და უზრუნველყოფს მშობლებისა და მოსწავლეების ინფორმირებას სკოლის პროგრამების, პროცედურებისა და მოსალოდნელი ქცევის წესების შესახებ. სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება, მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად და დამატებითი საფასური არ არის განსაზღვრული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების, სერვისების, პროგრამებისა და რესურსების შესახებ არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი. სკოლის დირექცია და პედაგოგები მუდმივად უზრუნველყოფენ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესების, ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

სკოლა ინფორმაციას ავრცელებს საინფორმაციო დაფების, სოციალური ქსელების, კლასების შიდა ჯგუფებისა და მშობელთა კრებების მეშვეობით. დამრიგებლები სისტემატურად ატარებენ შეხვედრებს მშობლებთან და აცნობენ მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. ასევე, სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმისა და შიდა რეგულაციების გაცნობას.

სკოლა ზრუნავს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს ობიექტური, განახლებული, კანონმდებლობასთან შესაბამისი და არადისკრიმინაციული, თანაბრად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხელშეკრულება მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან
- „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“
- „დამრიგებლის დებულება“
- სადამრიგებლო პროგრამა
- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება.
- დაწესებულების გვერდი სკოლების პორტალზე და სოციალურ ქსელში

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. **მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

4.2.1. **სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რომელიც განსაზღვრულია „მოსწავლეთა ადაპტაციის წესით“ და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. ადაპტაციის მექანიზმის მიზანია ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოში ინტეგრაციის, ემოციური კეთილდღეობისა და სასწავლო პროცესში ეფექტიანი ჩართულობის ხელშეწყობა. ადაპტაციის პროცესში ჩართულნი არიან კლასის დამრიგებელი, ადმინისტრაცია, მასწავლებლები და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, სასწავლო და სოციალურ გარემოსთან შეგუების მხარდაჭერას, ასევე მშობელთან აქტიურ თანამშრომლობას. ადაპტაციის წესი ითვალისწინებს მოსწავლის გარემოსთან შეგუების მონიტორინგსა და შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვას.

ამასთანავე, სკოლის შიდა რეგულაციები და დამრიგებლის საქმიანობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებას, უსაფრთხო გარემოს შექმნასა და სასკოლო ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლაში მოქმედებს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომლის მიზანია მოსწავლის უსაფრთხო, მხარდამჭერ და პოზიტიურ გარემოში ინტეგრაცია, სასწავლო პროცესთან შეგუება და ემოციური კეთილდღეობის უზრუნველყოფა. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, მშობელთან თანამშრომლობასა და სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის მხარდაჭერას. ადაპტაციის პროცესის ფარგლებში ხორციელდება დაკვირვება, მონიტორინგი და შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა.

ასევე, სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს ეცნობებათ სკოლის შიდა რეგულაციები, ქცევის წესები და სასწავლო გარემოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ეფექტიან ადაპტაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ სათანადო კონსულტირება და მხარდაჭერა მოსწავლეების მიერ გვხვდება წარმოდგენილ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებში. მაგალითად, ,,დამრიგებლის დებულება“ ნათლად ასახავს, რომ სკოლაში არსებობს მექანიზმები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლისთვის აკადემიური მხარდაჭერისა და კონსულტაციის სისტემურ მიწოდებას. კლასის დამრიგებლის ფუნქციები და მოვალეობები პირდაპირ უკავშირდება მოსწავლის აკადემიური მიღწევების მონიტორინგს, პრობლემების იდენტიფიცირებას და შესაბამისი დახმარების გაწევას. გარდა იმ ვალდებულებებისა, რომელიც სადამრიგებლო საათის ფარგლებში გააჩნია დამრიგებელს დოკუმენტში ვკითხულობთ დამრიგებლის როლზე, როგორც აკადემიური, ასევე პიროვნული განვითარების ხელშეწყობაში, დეტალურადაა გაწერილი და მოიცავს როგორც პრევენციულ, ასევე რეაგირების ღონისძიებებს. დოკუმენტი ასახავს როგორც პროცესებს, ასევე პასუხისმგებლობებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მხარდაჭერას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლა მოსწავლეს გონივრულ და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას მისი უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, ასევე საფეხურის დაძლევის მკაფიო პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პროცესების დროულ და გამჭვირვალე განხორციელებას. სკოლის

რეგულაციებითა და სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია წლიური, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდების ჩატარების წესები, მობილობისა და სტატუსთან დაკავშირებული ვადები და პირობები, რის შესახებაც სკოლა წინასწარ აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს.

სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების ხელმისაწვდომობას, შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობასა და მოსწავლეთა მხარდაჭერას მათი კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესითა და კვალიფიციური პერსონალის ჩართულობით უზრუნველყოფს დამატებითი და არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი გამოფენები და სასწავლო წლის შემაჯამებელი აქტივობები, რაც ადასტურებს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობასა და სკოლის მხარდაჭერაზე დაფუძნებულ გარემოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლაში რეგულარულად ტარდება არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების განვითარებას, მხარდაჭერასა და წახალისებას. ამის მაგალითია ყოველწლიური სასკოლო კონფერენცია სხვადასხვა საგნობრივი სექციით, სადაც მოსწავლეები თავად მონაწილეობენ მომხსენებლებად და წარმოაჩენენ საკუთარ კვლევებსა და ნამუშევრებს.

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი“ ქმნის გამჭვირვალე, თანასწორ და მოქნილ მექანიზმს მოსწავლეთა იდეებისა და ინიციატივების წარდგენისა და მხარდაჭერისთვის. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს მოსწავლეთა რეალურ მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში, პასუხისმგებლობების განაწილებასა და დისკრიმინაციისგან დაცულ გარემოს.

სკოლაში ხშირად იმართება მოსწავლეთა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ინიცირებული ღონისძიებები, რომლებიც სკოლის ადმინისტრაციისა და კვალიფიციური პერსონალის მხარდაჭერით ხორციელდება. მაგალითად, მიმდინარე წლის 26

მაისისა და 1 ივნისის ღონისძიებები დაგეგმილია მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით და სკოლის მხარდაჭერით. მსგავსი მასშტაბური და მრავალფეროვანი აქტივობები სკოლაში წლის განმავლობაში სისტემატურად ტარდება, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას, ლიდერულ უნარებსა და პასუხისმგებლობის კულტურას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე ზრუნავს მომსახურების გაუმჯობესებაზე. სკოლაში მოქმედებს კომუნიკაციისა და უკუკავშირის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ხდება მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების მოსაზრებების, საჭიროებებისა და რეკომენდაციების მიღება და ანალიზი. უკუკავშირი მიიღება მშობელთა კრებების, ინდივიდუალური შეხვედრების, ინტერვიუებისა და სასკოლო კომუნიკაციის სხვადასხვა არხის მეშვეობით, რის საფუძველზეც სკოლა გეგმავს და აუმჯობესებს სასწავლო, ადმინისტრაციულ და მხარდამჭერ მომსახურებებს. თვითშეფასებისა და მონიტორინგის პროცესები ეფუძნება სასკოლო საზოგადოების მოსაზრებების გათვალისწინებას და მიღებული შედეგების ანალიზს, რის შედეგადაც სკოლა ახდენს სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანას; კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა კურიკულუმების შემუშავების და რევიზიის დროს ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს და არსებული გამოცდილების ანალიზს იყენებს პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- დამრიგებლის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა, 2025-2026 სასწავლო წლები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგანმანათლებლო პროექტები;

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook).

4.2.2. **სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა გარკვეულ ნაბიჯებს დგამს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. დამრიგებლის დებულებისა და სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით, კარიერული ორიენტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. დამრიგებელი მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების აღმოჩენაში, სამომავლო მიზნების დასახვასა და პროფესიული არჩევანის გააზრებაში. სკოლა პროფორიენტაციის მიმართულებით თანამშრომლობს გარე ორგანიზაციებთანაც. წარმოდგენილი მემორანდუმის მიხედვით, ბათუმის №11 საჯარო სკოლასა და სს კოლეჯ „ბლექსის“ შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და კარიერული დაგეგმვის პროცესის მხარდაჭერა. მემორანდუმი ითვალისწინებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის აქტივობებს, პროფესიული პროგრამების გაცნობას, ინტერპერსონალური და სამეწარმეო უნარების განვითარებას, კოლეჯის სასწავლო გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაცნობას, ასევე ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებას.

ამასთანავე, კარგი იქნებოდა სკოლას წარმოედგინა მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული აქტივობის მაგალითი ან შედეგი, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენდა თანამშრომლობის პრაქტიკულ ეფექტს და კარიერული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული საკითხები განიხილება სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიული ორიენტაციის, თვითშემეცნების, მიზნების დასახვისა და მომავალი პროფესიის არჩევასთან დაკავშირებულ თემებს. დამრიგებლის დებულების მიხედვით, დამრიგებელი ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების აღმოჩენასა და სამომავლო გეგმების განსაზღვრაში. დაწესებულება თანამშრომლობს კოლეჯთან; სკოლა დაინტერესებულია, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სანდო და განახლებადი იყოს.

რჩევა: სასურველია სკოლამ კარიერული განვითარების მიმართულებით დაგეგმოს რეგულარული საინფორმაციო შეხვედრები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან შეხვედრები და უკეთ დაადასტუროს განხორციელებული აქტივობები შესაბამისი დოკუმენტაციითა და მტკიცებულებებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლის თვითშეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა აკვირდება კურსდამთავრებულების შედეგებს მათი პროფესიული განვითარების შესახებ. გარდა ამისა, დამრიგებლები, სასწავლო წლის ბოლოს აკეთებენ თავით საქმიანობის ანგარიშს და აფასებენ მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ეფექტურობას. სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მიხედვით, დაწესებულებაში გათვალისწინებულია შიდა მექანიზმების არსებობა, რომელიც გამოიყენება შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისთვის და მუდმივი განვითარებისთვის.

მომსახურების ხარისხის შეფასების პროცესში სკოლა ეყრდნობა მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების უკუკავშირს, პედაგოგიური საბჭოსა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მუშაობის შედეგებს. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სამოქმედო გეგმების, მხარდამჭერი მექანიზმებისა და სასკოლო მომსახურებების დახვეწისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- დამრიგებლის ანგარიში;
- სასწავლო და სამოქმედო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა.
- მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან

4.2.3. **სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებასა და მონიტორინგს. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ირიცხება 35 სსსმ მოსწავლე, რაც ადასტურებს ინკლუზიური განათლების პრაქტიკის არსებობასა და გამოცდილებას.

სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი და მშობელი. ჯგუფი უზრუნველყოფს ისგ-ის შემუშავებას, მოსწავლის პროგრესის მონიტორინგს, სასწავლო შედეგებისა და გამოწვევების განხილვას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ დაწესებულება სსსმ მოსწავლეებს უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მხარდაჭერითა და განვითარების შესაძლებლობებით, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტაციის, ისე შესაბამისი პროცედურებისა და პროფესიული მექანიზმების ეფექტიანი განხორციელების გზით. შესაბამისად, სკოლაში სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი განსაზღვრული და კანონმდებლობის შესაბამისია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი სპეციალური მასწავლებლები, საგნის მასწავლებლები, დამრიგებლები, მშობლები და ადმინისტრაცია, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მიდგომას.

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სსსმ მოსწავლეთა ძლიერი მხარეებისა და ინტერესების გამოვლენას. ერთ-ერთ შემთხვევაში, სკოლამ და სპეციალურმა მასწავლებელმა გამოავლინეს მოსწავლის განსაკუთრებული ნიჭი ხატვაში და ხელი შეუწყვეს მის განვითარებას შესაბამის აქტივობებში ჩართულობითა და მხარდაჭერით, რამაც მოსწავლის თვითგამოხატვისა და მოტივაციის ზრდას შეუწყო ხელი.

სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობაში. სკოლა მიზანმიმართულად ზრუნავს მათ ინტერესებზე, შესაძლებლობების განვითარებასა და სოციალურ ინტეგრაციაზე, რათა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს საკუთარი პოტენციალის გამოვლენისა და წარმატების თანაბარი შესაძლებლობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის მასალები;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმები ინდგეგმების დამტკიცებაზე;
- ისგ ჯგუფის ოქმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;

- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება და დებულება;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით არ აქვს გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ან დამატებითი არასავალდებულო საგანმანათლებლო/სააღმზრდელო მომსახურება, როგორიცაა გახანგრძლივებული სწავლება, ტრანსპორტირების ან საერთო საცხოვრებლით მომსახურება.

ამასთანავე, სკოლას იჯარით აქვს გაცემული ფართი კვების სერვისის ფუნქციონირებისთვის, რაც მოსწავლეთა კვებით მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვით. ასევე, სკოლის სარგებლობაში არსებული გარკვეული ფართები იჯარით არის გაცემული სხვადასხვა წრისა და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების ფუნქციონირებისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების განვითარებასა და სასკოლო ცხოვრების მრავალფეროვნებას.

შესაბამისად, სკოლაში არსებული დამატებითი მომსახურებები და იჯარით გაცემული სივრცეების გამოყენება ხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებისა და დადგენილი წესების დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით და ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობა, რომლებიც განთავსებულია იჯარით გაცემულ სივრცეებში და მოსწავლეთა სურვილისა და ინტერესების შესაბამისად არის ხელმისაწვდომი.

აღნიშნული მომსახურებების განხორციელება ეფუძნება შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებსა და შეთანხმებულ პირობებს, ხოლო მათი მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი, სოციალური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მსგავს აქტივობებში მონაწილეობა იყოს ნებაყოფლობითი და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება, ასევე, იჯარის, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- თვითმმართველობის ოქმები;
- იჯარის დოკუმენტაცია;

- კლუბების/წრეების სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

1. **სასკოლო კურიკულუმი**

1.1. **კურიკულუმის შემუშავება**

1.1.1. **კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქალაქ ბათუმის მე-11 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დეტალურად აღწერს კომპლექსურ სისტემას, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას კურიკულუმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განვითარება ეფუძნება როგორც სკოლის შიდა რესურსებისა და საჭიროებების, ასევე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ანალიზს. იგი ითვალისწინებს: სკოლის კონტექსტისა და საჭიროებების კვლევას; მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრას; მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების ჩართულობას კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში; არსებული რესურსებისა და პრიორიტეტების შეფასებას; სწავლა-სწავლების პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებას.

დოკუმენტში გაწერილი პროცედურები და მექანიზმები ქმნის შესაძლებლობას, რომ კურიკულუმი იყოს სკოლის რეალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ისე სასკოლო საზოგადოების ხედვები და პრიორიტეტები, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური, მოსწავლეზე ორიენტირებული და შედეგზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნას.

შესაბამისად, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნას და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობასა და მათი ინტერესების გათვალისწინებას

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები და პრიორიტეტები. როგორც კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ასევე თვითშეფასების დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ კურიკულუმის დაგეგმვა და განვითარება ეფუძნება სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობასა და უკუკავშირს.

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების მონაწილეობით. ამ მიზნით სკოლაში განხორციელდა კვლევა და შეგროვდა სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები, რეკომენდაციები და განვითარების პრიორიტეტები. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გადაიხედა და განახლდა სკოლის ფილოსოფია, სტრატეგიული და სამოქმედო მიმართულებები.

ამასთანავე, სასკოლო სასწავლო გეგმისა და კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული არიან საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო და მოსწავლეთა წარმომადგენლები. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი განიხილება კოლეგიალურად, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა მხარის ინტერესებისა და საჭიროებების ასახვას.

სკოლა ასევე უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმებს — მშობელთა კრებების, სოციალური ქსელების, ელექტრონული ჟურნალისა და სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმატის მეშვეობით. აღნიშნული ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინტერესების მუდმივ იდენტიფიცირებასა და კურიკულუმში მათ ასახვას.

შესაბამისად, სკოლის კურიკულუმი ეფუძნება სასკოლო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას, ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული, დემოკრატიული და განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. პროცესში მონაწილეობენ სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, სამეურვეო საბჭო, მშობლები და მოსწავლეები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის დემოკრატიულ და კოლეგიალურ განვითარებას.

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან ხორციელდება უკუკავშირის მიღება და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება სკოლის პრიორიტეტებისა და განვითარების მიმართულებების განსაზღვრისას.

კურიკულუმის შემუშავებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება საგნობრივ კათედრებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მე-8 პუნქტის მიხედვით, სასწავლო ნაწილისა და კათედრების ჩართულობით განიხილება სასწავლო გეგმა, საათობრივი ბადე, სასწავლო რესურსები, ინტეგრირებული პროექტები და აქტივობები. შემუშავებული პროექტი განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე და თანხმდება სამეურვეო საბჭოს მიერ.

შესაბამისად, სკოლის კურიკულუმი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის შედეგს და ასახავს სხვადასხვა მხარის ინტერესებსა და საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და წარმოადგენს საერთო ხედვასა და შეთანხმებულ საგანმანათლებლო დოკუმენტს. მისი შემუშავებისა და განხილვის პროცესში ჩართულნი არიან სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, სამეურვეო საბჭო, მშობლები და მოსწავლეები.

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები. სასკოლო საზოგადოება სისტემატურად იღებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ, რაც ხელს უწყობს კურიკულუმის მიზნებისა და პრიორიტეტების გაზიარებას.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მე-8 პუნქტის შესაბამისად, სასწავლო ნაწილისა და საგნობრივი კათედრების ჩართულობით განიხილება სასწავლო გეგმა, რესურსები, საათობრივი ბადე და სხვადასხვა აქტივობები, ხოლო შემუშავებული დოკუმენტი განიხილება პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებზე. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმის შეთანხმებასა და გაზიარებას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიერ.

შესაბამისად, კურიკულუმი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულ დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობას, კომუნიკაციასა და საერთო პასუხისმგებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წელი);
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი .

1.1.2. **კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში (ბუნება,ბიოლოგია,ფიზიკა,ქიმია) წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები სამივე საფეხურზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და მოთხოვნები დაკმაყოფილებულია დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე, კერძოდ კი III – IV კლაებში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჭრილიდან გათვალისწინებულია და ისწავლება საგანი ,,მე და საზოგადოების“. V – VI კლასებში ,,ჩვენი საქართველო“. საბაზო საფეხურზე საგნები: ,,ისტორიის“; ,,მოქალაქეობისა“ ,,გეოგრაფია“ და ,,საქართველოს გეოგრაფია“. საშუალო საფეხურზე კი სავალდებულო საგნები: ,,საქართველოს ისტორია“; ,,მსოფლიო ისტორია“; ,,მოქალაქეობა“ და ,,გეოგრაფია“. აღნიშნული საგნის სწავლების დაგეგმვა და განხორციელება ხდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმის საშუალებით. აღნიშნული დოკუმენტი კი შექმნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, კათედრის წევ მასწავლებელთა უშუალო მონაწილეობითა და ჩართულობით, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. აღნიშნულ მასწავლებელთა შორის ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად არის შექმნილი საზოგადოებრივი მეცნიერების სწავლების ძირითადი ორიენტირები და მიმართულებები. სკოლაში შემუშავებული კურიკულუმი ნათლად ავლენს იმ გარემოებას, რომ საგნის კურიკულუმები ნათლადაა ორიენტირებული სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ნათელი დადასტურებაა იმასა, რომ კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მოსწავლის / მოსწავლეების განვითარების ფიზიკურ, გონებრივ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მიზნობრივად ორიენტირებული. აღნიშნული საგნის კურიუკულუმის მიზნობრიობა და ორიენტირება არის ცალსახად სრულ შესაბამისობაში სკოლის საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებთან. სკოლისა და მათ შორის საზოგადოებრივი კათედრის ორიენტირებს მკაფიოდ განსაზღვრავს და ასახავს სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი და საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმი. ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	უცხო ენების კათედრის მიერ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები

	ნამდვილად უწყობს ხელს მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას, პოტენციალის აღმოცენას და მოტივაციის გაზრდას. კათედრა სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის კონსტრუირების პროცესს, გასაუბრების დროს მათ ახსენეს, რომ მათ მიერ შექმნილი კურიკულუმი ,,ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც მუდმივად ვითარდება'', ის მოსწავლის ზრდა-განვითარებაზეა მიმართული. კურიკულუმით გაწერილი დავალებები ითვალისწინებს წინარე ცოდნის მობილიზებას, იწვევს ცნობისმოყვარეობას, ავითარებს მოსწავლეების მხრიდან თვითრეფლექსიის უნარებს. პროექტული სწავლება, რომელსაც აქტიურად ახორციელებს კათედრა, იწვევს მოსწავლეთა ავტონომიურობის განცდას და იწვევს მოსწავლეთა ემოციურ კმაყოფილებას . ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული,რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე. ჩანს რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს. წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. რჩევა- სამივე საფეხურზე კურიკულუმების თავფურცელში მითითებული იყოს ჯამური საათობრივი განაწილება წლიური ან სემესტრული საათობრივი დატვირთვის სახით. ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის კურუკულუმი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის სწორად და შემოქმედებით დაგეგმვაზე, მათი განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა გონებრივი განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია რჩევა -კარგი იქნება, თუ ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეების-თვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, პროექტი თუ შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობა მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაცი-ები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ.
სპორტი	სამივე საფეხურზე - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, პროექტები და აქტივობები ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებას გულისხმობს. კურიკულუმი ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გაღმავებაზე, არამედ იმ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის ფიზიკური, პიროვნული, სოციალურ-ემოციური და შემოქმედებითი ზრდისთვის. ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხური: სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს, კომპლექსურ დავალებებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს შეესაბამება. დავალებები ორიენტირებულია შემოქმედებითი, კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. მაგალითად, მოსწავლეები ქმნიან პრეზენტაციებს, ბუკლეტებს, ანიმაციებს, თამაშებსა და პოსტერებს, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელ მუშაობას, პრობლემების გადაჭრასა და ციფრული უნარების განვითარებას. ცალკეულ შემთხვევებში კომპლექსური დავალებები და აქტივობები სრულად არ არის დაკავშირებული შესაბამის სამიზნე ცნებებსა და სასწავლო შედეგებთან, რის გამოც საჭიროა დავალებების უფრო მკაფიო მიზნობრიობა.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე რჩევა: სასურველია, თითოეული კომპლექსური დავალება მეტად მკაფიოდ დაუკავშირდეს კონკრეტულ სამიზნე ცნებას, საკითხსა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგს, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის დაწყებითი საფეხურის (1-4 კლ. ქართული ენა და ლიტერატურა, მატემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოები) კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებითი რესურსები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას . ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში (ბუნება,ბიოლოგია,ფიზიკა,ქიმია) სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და მოყვანილი აქვთ საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. დიდი ყურადღება ეთმობა გრძელვადიანი მიზნების შესრულებისათვის შემუშავებულ მიდგომებს.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და მოთხოვნები დაკმაყოფილებულია დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის ყველა საგნობრივი დისციპლინის დაგაგმა - განხორციელება და სწავლება ტრადიციულად სრული შესაბამისობითა და თანხვედრით ხორციელდება. მიმდინარე პროცესები ნათლად ავლენს იმ გარემოებას, რომ აშკარად მომდევნო სასწავლო წლებშიც იგივე იქნება, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებზე დაყრდნობით. სწორედ სასწავლო მიზნებთან მიმართებით ყალიბდება ის საკითხები, რაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, იგეგმება და განხორციელდება საგნის // საგნების სწავლებისას სავალდებულო თემების გავლით სასწავლო პროცესი. სავალდებულო თემის ფარგლებში შემოქმედებითი - კომპლექსური დავალებების ფორმატით დამუშავება ხორციელდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე, წინასწარ მკაფიოდ განსაზღვრული რაოდენობისა და თემების გათვალისწინებით. კომპლექსური დავალებების დამუშავებით მოცული არის საგნისათვის გათვალისწინებული ყველა ცნება. ყველა სახის დავალება კი მოიაზრებს მოსწავლეებში შემოქმედებითი, კრეატიული, კრიტიკული აზროვნების, ფაქტისა და მოვლები ანალიზის, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, შეხედულებებისა და მოსაზრებების დაცვას, დასკვნის გამოტანას, არგუმენტის შეფასებას და პრობლემის უნარის გადაჭრის უნარის განვითარებას. ინტელექტუალური და აკადემიური დომის გაზრდას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლადაა ასახული საგნის // საგნების კურიკულუმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	უცხოური ენების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და მიმართულია მათი შესრულებისაკენ. წარმოდგენილია სავალდებულო თემები, სამივე საფეხურზე, რომლის ფარგლებშიც ხდება უცხო ენისთვის საჭირო ოთხივე უნარის (წერა, კითხვა, მოსმენა და ლაპარაკი) განვითარება. ასევე დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას, რაც გაწერილია ესგ-ს მიხედვით, გთვალისწინებულია სავალდებულო კომპეტენციები, როგორიც

	არის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ციფრული მოქალაქეობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი და სხვა... ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (მუსკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხერხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები,კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. თუმცა იკვეთება მცირე უზუსტობებიც, რაც გასაუბრების დროს დაკონკრეტდა და გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც აუცილებლად გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. რჩევა- სამივე საფეხურზე კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები.მათში სათანადოდ აისახოს და დამუშავდეს საფეხურისა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მიმართულია და პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია რჩევა-მიზანშეწონილია ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა, მიზანი, კშემოქმედებითი დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული

	დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები ნაკლებად შეიცავენ კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური (მათემატიკის და ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და მუსიკის, მათემატიკის და ხელოვნების, მათემატიკის და პოეზიის, მათემატიკის და მხატვრობის და სხვ.) საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში აამაღლებს სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმი სწორ დამოკიდებულებას. განათლების მისაღებად საკმარისი არ არის მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამედ ცოდნის კომპლექსურად მიღება, რაც მოსწავლეებში განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში. გარდა ამისა, ეხმარება მოსწავლეებს კვლევითი უნარების და მკვლევარის თვისებების ჩამოყალიბებაში.
სპორტი	სამივე საფეხურზე - შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი შემოქმედებითი დავალებებით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენირებული სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ფიზიკურ გაჯანსაღებას, კულტურული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და თვითგამოხატვის უნარის ფორმირებას. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ესგ-ის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებთან. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რაც ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების რეალიზაციის წინაპირობაა. ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხური: წარმოდგენილი კურიკულუმები ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიმართულებებსა და მიზნებს. დოკუმენტებში ასახული

	აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლეთატექნოლოგიური, შემოქმედებითი, კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. კურიკულუმებში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ვიზუალური პროგრამირება, ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, ციფრული რესურსების შექმნა, ონლაინ უსაფრთხოება და ციფრული მოქალაქეობა. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები და ციფრული რესურსები, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მეტწილად უკავშირდება პრაქტიკული უნარების განვითარებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამასთანავე, ცალკეულ შემთხვევებში გამოიკვეთა თემებისა და სამიზნე ცნებების ინტერპრეტაციის სირთულეები. ზოგიერთ საკითხში საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის ფორმულირებებთან მეტად ზუსტი შესაბამისობის უზრუნველყოფა და თემატური ჩარჩოს უფრო მკაფიო დაცვა. ასევე, გარკვეული სამიზნე ცნებები და შეფასების კომპონენტები საჭიროებს დაზუსტებას კონკრეტული კლასის სტანდარტთან შესაბამისობის გასაძლიერებლად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე რჩევა: სასურველია კურიკულუმში თემატური საკითხები, სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები უფრო ზუსტად დაუკავშირდეს ეროვნული სასწავლო გეგმის თემატურ ჩარჩოსა და კონკრეტული კლასის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. ასევე, რეკომენდებულია შეფასების კომპონენტებისა და სასწავლო აქტივობების პერიოდული გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სრული შესაბამისობა მოქმედ სტანდარტთან და სასწავლო მიზნებთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში დასამუშავებელი თემების ფარგლებში წარმოდგენილი ტექსტები, მათთან დაკავშირებული აქტივობები და შემოქმედებითი დავალებები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან

	მიზნებს , უზრუნველყოფს მიზნის შესაბამისი საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას და საგნობრივი ცნებების გაცნობიერებას, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. ზოგ შემთხვევაში შეინიშნებოდა ტექნიკური ხარვეზები სამიზნე ცნებების სწორ ფორმულირებასთან დაკავშირებით, თუმცა პედაგოგებმა გაითვალისწინეს აღნიშნული უზუსტობები და ვიზიტის ფარგლებში გაასწორეს დოკუმენტაცია. ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში (ბუნება,ბიოლოგია,ფიზიკა,ქიმია) სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას.სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია,რაც არ იძლევა საშუალება,სასწავლო პროცესში განხორციელდეს ექსპერიმენტები,დაკვირვებები,ძირითადი დატვირთვა ასეთ შემთხვევებში მოდის ვირტუალურ სიმულაციებზე.(https://ck12.edu.ge/; .https://www.virtuallabschool.org , https://phet.colorado.edu/ ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერების მიერ სასწავლო პროცესისას გამოყენებული ყველა სახის რესურსი (სახელმძღვანელოები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, თემატური რუკები,

	ატლასები, კონტურული რუკები, სხვადასხვა ინტერნეტ პორტალზე განთავსებული ინფორმაციები, დოკუმენტური და ისტორიული ჟანრის მხატვრული ფილმები და სხვა, ისეა წარმოდგენილი, რომ ისინი მკაფიოდ შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებულ თემასა და საკითხებს. მათი შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის / მოსწავლეების ასაკობრივი, გონებრივ - ინტელექტუალური შესაძლებლობები და საჭიროებები და რაც მთავარია ისინი სრულად უზრუნველყოფენ კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების საბოლოო შედეგის დადგომას. რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები და რეკომენდაციები და უზრუნველყოფილია მაქსიმალური რაოდენობის მოსწავლეთა წვდომა. ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
+უცხოური ენები	უცხო ენის კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო გრიფირებული სახელმძღვანელოები, გარდა ამისა კათედრაზე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა ტიპის დამხმარე რესურსებს, აღნიშნული კურიკულუმშიც ჩაშენებულია. ყველა სახელმძღავენლო თუ რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური და საფეხურის მიზნების /შედეგების მიღწევას. ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმების მიხედვით (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), სასწავლო პროცესში ძირითად რესურსად გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები. კურიკულუმებში ასევე წარმოდგენილია დამატებითი ელექტრონული რესურსები. ვიზიტის პროცესში კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულ ელექტრონულ რესურსებს მოსწავლეებს ინდივ ვიდუალურად უზიარებენ და აცნობენ. ამასთანავე, კათედრის წევრები თავად ქმნიან მრავალფეროვან და საინტერესო ელექტრონულ რესურსებს, რომელთაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. აღნიშნული პრაქტიკა დასტურდება მათი მხრიდან დამატებით წარმოდგენილი მასალებით. რჩევა: სასურველია, დაწყებითი და საბაზო საფეხურის მუსიკის კურიკულუმებში ჩაშენდეს ის მრავალფეროვანი დამატებითი რესურსები, რომელთა გამოყენებაზეც პედაგოგებმა

	ვიზიტის დროს ისაუბრეს და რომლებიც ცალკე დოკუმენტის სახით წარმოად"]გინეს. ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. რჩევა- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, სასურველია განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე (მე-6 კლასში) რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმები შეიცავს საკმარისი რაოდენობის რესურსებს, როგორც ნაბეჭდ, ისე ელექრტული სახით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სამივე საფეხურზე - კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფს სასწავლ პროცესის ეფექტიან წარმართვას და სწავლის შედეგების მიღწევას. ისინი შერჩეულია ესგ-ის მიზნებისა და კურიკულუმში აღწერილი კომპეტენციების გათვალისწინებით. რესურსები მოიცავს როგორც საბაზისო მასალებს, ასევე დამხმარე რესურსებს, რაც უზრენველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ინდივიდუალური საჭროებების გათვალისწინებასა და საგნობრივი შედეგების ეფექტურად მიღწევას. ამ რესურსების დახმარებით შესაძლებელია სწავლების პროცესის

	გამრავალფეროვნება და თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი და ინლუზიური გარემოს შექმნა. ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხური: კურიკულუმში ასახულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებები - კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება. წარმოდგენილი სასწავლო აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლეებში ტექნოლოგიური, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე და მოიცავს პროგრამირების ელემენტებს, ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას, ციფრული რესურსების შექმნას, ონლაინ უსაფრთხოების საკითხებსა და ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციების განვითარებას. კურიკულუმში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. ამასთანავე ცალკეულ თემატურ საკითხებში შეინიშნება ფორმულირებებისა და სამიზნე ცნებების ინტერპრეტაციის სირთულეები, რის გამოც საჭირო ხდება მათი მეტად დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა კონკრეტული კლასის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. აღნიშნული განსაკუთრებით იკვეთება V და VI კლასების კურიკულუმებში, სადაც სასურველია თემატური საკითხების, შეფასების კომპონენტებისა და სამიზნე ცნებების უფრო მკაფიო დაკავშირება ეროვნული სასწავლო გეგმის თემატურ ჩარჩოსთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე რჩევა: სასურველია თითოეულ თემასა და კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით უფრო მკაფიოდ განისაზღვროს გამოყენებული რესურსების დანიშნულება და კავშირი სასწავლო შედეგებთან. რეკომენდებულია რესურსების შერჩევა განხორციელდეს თემის სპეციფიკის, მოსწავლეთა საჭიროებებისა და დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს მათი პრაქტიკული და საგანმანათლებლო ეფექტიანობა.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის შემუშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები: გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით იკვეთება, რომ ისინი იცნობენ და საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარების პროგრესს და ამაღლებს მის მოტივაციას. სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მათი მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასთან მიმართებაში.Y საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია თვალნათლივ გვიჩვენებს,რომ მასწავლებლებისათვის უცხო არაა დიფერენცირებული დავალებების მომზადება და შეთავაზება მოსწავლეთათვის. ისინი წარმატებით იყენებენ სასწავლო მენიუს და სხვა სტრატეგიებს (სასწავლო გაჩერებები,განსხვავებული ამოცანები ქიმიაში,მარტივი ცდები ფიზიკაში და ა.შ.) და მოდიფიცირებულ რესურსებს, მოსწავლეებს ახალისებენ მრავალფეროვან -აქტივობებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და მოთხოვნები დაკმაყოფილებულია დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალი საგნის // საგნების სწავლება ყველა საფეხურზე ხორციელდება როგორც დიფერენცირებული დიფერენცირებული, ასევე ინკლუზიური მიდგომებით. სწავლისადმი ამგვარი დამოკიდებულება და მიდგომები აღიალებულია და მხარდაჭერილია დირექციის მხრიდან და ადმინსტრირებულია სკოლაში მოქმედი დოკუმენტებით. კერძოდ კი, სწავლისადმი ასეთი მიდგომები დეტალურადაა გაწერილი და ასახულია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და საგნობრივ კურიკულუმებში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მაწავლებლები ითვალისწინებენ არა მარტო სსსმ. მოსწავლეების, არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, შემოქმედებით უნარებსა და ინტერესებს. კომპლექსური და არა მარტო კომპლექსური დავალებების დამუშავების საფუძველზე შესაქმნელი პროდუქტის სხვადასხვა სახეს მოსწავლეების სთავაზობენ მასწავლებელები, იქნება ეს ციფრული საპრეზენტაციო მასალა, რეფერატი, ბუკლეტი, მაკეტი, ესე, რეფერატი, პოსტერი, კარტოგრაფიული ნამუშევარი და სხვა. ეს ყოველივე კი ნათლადა და მკაფიოდ იძლევა მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების უკეთ წარმოჩენასა და რეალიზების შესაძლებლობას. საგნის // საგნების სწავლებისას გამოყენებული სასწავლო რესურსები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. მათი მრავალგარობა და მრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებებებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული. ეს კი, სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და მასში ყველა მოსწავლის ჩართვის შესაძლებლობას ითვალისწინებს ცალსახად. მასწავლებლები საკუთარი პრაქტიკული და სკოლაში მოქმედი სასწავლო პროცესის მაორგანიზებელი მექანიზმების საშუალებთ ფლობენ სსსმ. მოსწავლეებთან მუშაობისათვის საჭირო ფორმალურ და არაფორმალურ მხარეებს. (ოფიციალური საწასვლო დოკუმეტაციის წარმოება, სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები). აღნიშნული კუთხით მასწავლებელებს შესაძლებლობაც და მზაობაც აქვთ. ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	როგორც უცხოური ენების დაწყებითი. საბშუალო და საბაზო საფეხურების კათედრის წევრებთან გამოიკვეთა სკოლაში სასკოლო გარემო სრულიად ადაპტირებული და

	მორგებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე. პედაგოგეგბი საუბრობენ, რომ ითვალისიწნებენ მოსწავლეების უნარებს, სწავლების ტემპს და საჭიროებებს, რათა ყველა მოსწავლეს შეექმნს ინკლუზიურობის განცდა. სასწავლო რესურსები, რომელსაც იყენებს კათედრა და ის პროდუქტები, რომლებსაც ქმნიან მოსწავლეები გაწერილია იმგვარად, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია იპოვოს თავისი როლი. ასევე სსმ მოსწავლეებთან მუშაობს სპეც მასწავლებელი, სკოლა უზრუნველყოფილია რესურს ოთახით. ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკული გამოცდილება. გასაუბრების პროცესმაც დაადასტურა, რომ პედაგოგები, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ახდენენ როგორც დავალებების პირობების, ასევე სასწავლო აქტივობების ადაპტაციასა და მოდიფიცირებას, მათ სწავლის სტილზე მორგებით. ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება.გასაუბრებამაც ცხადყო,რომ მასწავლებლები ,მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას ახდენენ სწავლის სტილის გათვალისწინებით. ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია გამოსჭვივის არა მარტო წარმოდგენილ მასალებში, დამათებით გამოგზავნილ მასალებში, არამედ დაადასტურეს ინტერვიუს დროსაც, რაც ასახულია მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმში, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. უკეთეს შედეგებზე გავლენ თუ მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესში მეტად გამოიყენებენ სხვა საგნებთან საგანთაშორისი კავშირების რეალიზებას.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სამივე საფეხურზე -სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის სურვილების და მზაობის გავალისწინებით. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში. ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	დაწყებითი საფეხური: წარმოდგენილი კურიკულუმები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ) ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ შესაძლებლობებს, ინტერესებსა და საჭიროებებს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები - პრეზენტაციები, ვიზუალური და პრაქტიკული დავალებები, ვიდეოები, ანიმაციები, პოსტერები და სხვადასხვა ციფრული რესურსი, რაც ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების განხორციელებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ასევე, დოკუმენტებში იკვეთება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერის ფორმები და ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება. ამასთანავე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჩარჩო-ფორმა ნაწილობრივ არასრულად არის შევსებული. კერძოდ, მიღწევის ინდიკატორები წარმოდგენილია სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ფორმატით, მაშინ როდესაც მოქმედ საგნობრივ სტანდარტში აღნიშნული კომპონენტი განსაზღვრული არ არის. ასევე, სრულად არ იკვეთება შესაბამისი სამიზნე ცნების ფარგლებში დასაფარი საკითხები, რაც ართულებს სასწავლო პროცესის სტანდარტთან პირდაპირ დაკავშირებას და სასწავლო მიზნების უფრო მკაფიოდ განსაზღვრას.

	მიუხედავად აღნიშნულისა, სასწავლო პროცესში აშკარად ჩანს ინკლუზიური მიდგომებისა და დიფერენცირებული სწავლების ელემენტების გამოყენება, თუმცა დოკუმენტაციის სტრუქტურა და ფორმალური ნაწილი საჭიროებს დაზუსტებასა და სრულყოფას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე რჩევა: სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო ფორმის სრულყოფილად შევსება მოქმედი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. სასურველია, მიღწევის ინდიკატორები ჩამოყალიბდეს სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე დაყრდნობით და თითოეული სამიზნე ცნების ფარგლებში მკაფიოდ გამოიკვეთოს დასაფარი საკითხები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს, კურიკულუმი იძლევა მოდიფიცირების საშუალებას თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. გამოიყენება ადაპტირებული რესურსები და დავალებები. ზოგიერთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დასაზუსტებელია სამიზნე ცნების ფორმულირება. პედაგოგები იმუშავენენ აღნიშნული უზუსტობების აღმოსაფხვრელად. ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი და სხვადასხვა აქტივობასა თუ სამუშაოზე მორგებული რუბრიკები, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. პედაგოგებთან გასაუბრება და წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მათ აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. აგრეთვე ჩანს ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც

	განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და მოთხოვნები დაკმაყოფილებულია დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოქმდი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის (III – IV კლ.) მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი შეფასებებით, ხოლო V - XII კლასი მოსწავლეების შეფასება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით. აღნიშნული შეფასების ფორმები ითვალისწინებს როგორც გრძელვადიან ისე მოკლევადიანი მიზნების დაუფლების გზაზე მოსწავლეთა ცოდნის პერიოდულ მონიტორინგსა და დიაგნოსტირებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შეფასების პროცესი კი სრულდება განმსაზღვრელი ან და განმავითარებელი შეფასებით. შეფასების ამგვარ მექანიზმს ცნობს სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი ჭრილით თემატიკის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებები მკაფიოდაა გაწერილი შეფასების რუბრიკებში. ხოლო განმსაზღვრელი შეფასებების მრავალგვარობა და დეტალიზება განხორციელებულია შემაჯამებელი სამუშაოს ფორმებში. განმავითარებელი შეფასების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა და რეკომენდაციებისა და კუნსულტაციის გაწევა მოსწავლეებზე ასათვისებელი ან და, გასაუმჯობესებელი ცოდნისა და უნარების დაუფლების გზაზე. შეფასება მოიცავს მოსწავლეთა სწავლა - სწავლების სტატისტიკური მონაცემების შექმნას და ასევე სწავლის დინამიკის აღწერას. კერძოდ: ... თუ სად იყო მოსწავლე ამა თუ იმ საკითხის დამუშავებისას და სად მივიდა, რა შედეგს მიაღწია სწავლა - სწავლების პროცესში. რა კონკრეტული მეთოდები, რესურსები და ინსტრუმენტები იქნება საჭირო მიზნამდე მისასვლელად. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა სამივე საფეხურზე იყენებს განმავითარებელ საბაზო და საშუალო საფეხუზე განმსაზღვრელ შეფასებას, წარმოდგენილ დოლუმენტაციაში მრავლადაა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკები, შეფასების კრიტერიუმები. ეს დოკუმენეტები ემსახურება, ერთის მხრივ წინარე ცოდნის მობილიზებას, დიაგნოსტირებას და მეორეს მხრივ, თემის დამუშავების შემდეგ თვით-რეფლექსიის გზით

	ცოდნის გააზრებას. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას დაწყებითი და საბაზო საფეხურებზე ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას,ხოლო საშუალო საფეხურზე, განმავითარებელი შეფასებას. სკოლის მიერ სამივე საფეხურისთვის წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები (მოსწავლეთა შემოქმედებით ნამუშევრებთან და შესაბამის შეფასებებთან ერთად), რომლებიც შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სახელმწიფო ენის პედაგოგებმა წარმოდგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. რჩევა- შეფასების რუბრიკების შექმნისას სამივე საფეხურზე გამოკვეთეთ მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს.
მათემატიკა	თავდაპირველად წარმოდგენილ მასალებში, ყველა საფეხურის კურიკულუმებში ნაკლებად იყო ასახული შეფასების სისტემები, მაგრამ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტება ეს ხარვეზი გამოასწორა. მოსწავლეთა შეფასების სისტემა მათემატიკის ყველა საფეხურზე სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია

	რჩევა - მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებლებმა უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისა და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების სწავლის და ათვისების დონესთან. თუ მასწავლებელი თვლის, რომ პორტალებზე წარმოდგენილი მასალა მისი მოსწავლეებისთვის რთულია/იოლია და საჭირო შედეგებზე გასვლას ვერ უზრუნველ-ყოფს, მოახდინონ მისი კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლო-ბებს.
სპორტი	სამივე საფეხურზე - შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება დაფუძნებულია კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას და ითვალისწინებს როგორც შემოქმედებითი პროცესის, ისე შედეგების შეფასებას. იგი ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებზე, თვითგამოხატვის უნარზე, ესთეტიკურ აღქმაზე, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრაზე და მოტივაციის გაზრდაზე. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	დაწყებითი საფეხური: წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესის შეფასებასა და უკუკავშირის მიწოდებაზე. შეფასების დოკუმენტებში გათვალისწინებულია კომენტარების ველი, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიღწევების ანალიზსა და განმავითარებელი შეფასების განხორციელებას. შეფასების სისტემაში გამოყენებულია შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომლებიც მეტწილად დაკავშირებულია სასწავლო შედეგებთან. ამასთანავე, ცალკეული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აგებულია ძველი სტანდარტისთვის დამახასიათებელი მიდგომით და მოიცავს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, მაშინ როდესაც მოქმედ საგნობრივ სტანდარტში აღნიშნული კომპონენტი აღარ გამოიყენება. ასევე, რიგ შემთხვევებში შეფასების კრიტერიუმები საჭიროებს მეტად

	დაკონკრეტებას, ქვეკრიტერიუმებად გაშლასა და შეფასების დონეების უფრო მკაფიო განსაზღვრას. მიუხედავად აღნიშნულისა, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე, თუმცა საჭიროებს მოქმედ სტანდარტთან მეტად შესაბამისობაში მოყვანასა და ინსტრუმენტების განახლებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე რჩევა: სასურველია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ეტაპობრივი განახლება მოქმედი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. სასურველია შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს კონკრეტულ შედეგებსა და ინდიკატორებზე დაყრდნობით, შეფასების დონეები იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, ხოლო ძველი სტანდარტისთვის დამახასიათებელი კომპონენტები ჩანაცვლდეს მოქმედი სტანდარტის შესაბამისი მიდგომებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ განმავითარებელ განმსაზღვრელ შეფასებას. შედგენილია როგორც ზოგადი (სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის), ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალების რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს .ზოგ შემთხვევაში დასაზუსტებელი იყო სამიზნე ცნების ფორმულირება, პედაგოგებმა ვიზიტის ფარგლებში იმუშავეს ამ ხარვეზის აღმოფხვრაზე. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ანალიზი.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალებები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;

- კათედრის სხდომის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2025 წ.წ.;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- საგნობრივ კათედრაში გაერთიანებული საგნების კურიკულუმები და განხორციელებული კომპლექსური დავალების ბარათები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

1.2. **კურიკულუმის განხორციელება**

1.2.1. **სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში (ბუნება, ბიოლოგია,ფიზიკა,ქიმია) სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს და მოთხოვნები დაკმაყოფილებულია დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეულ კლასში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის სწავლება ხორციელდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმების საფუძველზე. დავალებების მრავლგვარობა და თემატიკა, შემოქმედებითი - კომპლექსური დავალებები და შემაჯამებელი სამუშაოები თემატურადაა განაწილებული, წინასწარ დაგეგმილი, თანამშრომლობითი ურთიერთობის საფუძველზე შედგენილი კურიკულუმების შესაბამისა. შემუშავებული კურიკულუმი ნათლად ავლენს იმ გარემოებას, რომ საგნის კურიკულუმები ნათლადაა ორიენტირებული სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ნათელი დადასტურებაა იმასა, რომ ისინი მოსწავლის საჭიროებებზე არის ორიენტირებული. აღნიშნული საგნის კურიუკულუმის მიზნობრიობა და ორიენტირება არის სრულ შესაბამისობაში საზოგადოებრივი საგნების კათედრის ჭრილის საგნების ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტებსა და ინდიკატორებთან. ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ უცხო ენების კათედრის თოთოეულ წევრს სამივე საფეხურზე გააზრებული აქვს თავიანი შექმნილი კურიკულუმის შინაარსი და სასწავლო პროცესს მთლიანად არგებენ მას. კათედრა აქტიურად მუშაობს, როგორც კურიკულუმების შექმნა-რევიზიაზე, ასევე შემოქმედებითი ტიპის დავალებების, პროექტული სწავლების, ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელებაზე.

	ყოველი წლის ბოლოს კათედრა ახორციელებს წინა წლის კურიკულუმის რევიზიას, საჭიროებისამებრ ხდება აქტივობების და რესურსების მოდიფიცირება. ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) წარმოდგენილი სასწავლო აქტივობები შეესაბამება როგორც თემატიკას, ასევე განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს. შერჩეულია შესაბამისი კომპლექსური დავალებების იდეები, რაც ნათლად ასახავს თემების, საკითხების, სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების შორის ლოგიკურ კავშირს. რჩევა: სასურველია დაწყებითი საფეხურის (V კლასი) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი,აქცენტი კეთდება როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ,ასევე სავალდებულო თემებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები, რაც ასევე გამოიკვეთა გასაუბრებისას. სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. განხორციელებული აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილები, სასწავლო წლის მანძილზე სამივე საფეხურზე ტარდება ,,ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი ღონისძიებები ,,რუსთაველი საქართველოა და საქართველო ვეფხისტყაოსანი “, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები სხვადასხვა თემაზე, აგრეთვე, სასწავლო-შემოქმედებითი პროექტები, მათგან აღსანიშნავია დაწყებით საფეხურზე პროექტი უძველესი ქართული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ასევე ,,ხელოვნური ინტელექტი და დეზინფორმაცია''. საბაზო საფეხურზე ,,მე და ჩემი მასწავლებელი'', საშუალო საფეხურზე განხორციელებული პროექტები ,,საყვარელი მწერლის ციტატა'' და ,,სიყვარული და მოვალეობა''.ასევე სკოლაში ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი. ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

მათემატიკა	მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც დაგეგმილია სკოლის მიერ ყველა საფეხურის კურიკულუმების შესაბამისად. ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სამივე საფეხურზე - სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლება ემყარება ესგ-ის მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა ფიზიკური თვისებებისა და შესაძლებლობების, შემოქმედებითი უნარების, ესთეტიკური აღქმის, თვითგამოხატვისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები, თემატური თანმიმდევრობა, მიზნობრივი აქტივობები და სხვადასხვა ტიპის ამოცანები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. გაკვეთილები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი ისე, რომ მოხდეს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება. ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კლასებისა და მიმართულებების მიხედვით. თითოეული კურიკულუმი მოიცავს სამიზნე ცნებებს, საკითხებს, კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებს/დავალების იდეებს, რესურსებსა და შეფასების ფორმებს. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია პრაქტიკული და შემოქმედებითი აქტივობები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, განივითარონ როგორც ტექნოლოგიური, ისე კვლევითი და თანამშრომლობითი უნარები. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში საჭიროებს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ სამიზნე ცნების კორექტირებასაა და სამიზნე ცნებების შესაბამისი საკითხების დაზუსტებას, თემატურ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანას.. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე რჩევა: სასურველია, ცალკეულ თემებისა და საკითხების გადახედვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; ტექნოლოგიების საგნობრივ სტანდარტთან უფრო ზუსტი შესაბამისობის უზრუნველყოფა და თემატური ჩარჩოს შესაბამისად საკითხებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი კორექტირება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის

	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს (ერთობლივი გადაწყვეტილებით) შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმებში აქტივობების, რესურსების, შემოქმედებითი დავალებების გამრავალფეროვნების ან ადაპტირების მიზნით. ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ადაპტირებას სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებისა და რეალური სიტუაციის შესაბამისად. კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოქმედებს უკუკავშირის, მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც იძლევა საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას.

სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის მექანიზმები (დამრიგებლების ჯგუფები, მშობლებთან შეხვედრები, ელექტრონული ჟურნალი და სოციალური ქსელები) ხელს უწყობს საჭიროებების სწრაფ იდენტიფიცირებას და მათზე დაუყოვნებლივ რეაგირებას. საგნობრივი კათედრები და პედაგოგიური საბჭო კი საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ სასწავლო პროცესის, რესურსების ან გეგმების კორექტირებას.

შესაბამისად, სკოლა ეფექტურად და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას და მოსწავლეთა ინტერესებზე ორიენტირებულ გარემოს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე- ბუნებაში, ბიოლოგიაში,ქიმიასა და ფიზიკაში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს და დაკმაყოფილებულია დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი საგნობრივი გაერთიანების თითოეული საგნობრივი ჭრილის სწავლებისას დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შეფასებებს. მასწავლებელები აქტიურად იყენებენ შეფასების მრავალდგვარ მეთოდსა და საშუალებას, რომელიც თავისთავად ასახვას ჰპოვებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებში. ... და რაც მთავარია შეფასების რუბრიკებით ნათლად ჩანს, ის ფაქტი რომ შეფასებას მოსწავლეთა წარმატებისა და აღიარებისათვის იყენებენ. შეფასების ყველა სისტემა არის ვალიდური. სამართლიანი, ობიექტური, გამჭვირვალე და სანდო. მასწავლებელთა მიერ გამოყენებული სხვადასხვა სახის სისტების შეფასების რუბრიკები, მკაფიოა და დამატებით კითხვებსა და განმარტებებს არ საჭიროებს. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცია ვაწყდებით მრავალფეროვან შეფასების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებს, შემაჯამებელი დავალების ანალიზს, ასევე შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტს, რომელიც ადეგენს შესრულებული შემაჯამებელი დავალებების ვალიდურობას. ასევე გასაუბრებაზე მასწავლებლებმა ისაუბრეს შეფასების არსზე და მისი პრაქტიკულად გამოყენების მექანიზმებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ შეფასების სისტემა ნამდვილად არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ასევე წარმოდგენილია თემების ფარგლებში შესრულებული დავალებები-შეფასების რუბრიკებით, როგორც მუსიკაში, ისე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, რომლებიც მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს. აღნიშნულ მასალებში მკაფიოდ ჩანს, როგორ აფასებს მასწავლებელი მოსწავლის ცოდნასა და უნარებს სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით თითოეულ საგანში. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს.შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადესა და სანდოობას. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მოსწავლეს დაუზუსტდეს ქულები კრიტერიუმების მიხედვით.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებიდან ნათლად გამოსჭვივის, რომ მათემატიკაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სამივე საფეხურზე - შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამარლიანი. შეფასება ემყარება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია სასკოლო კურიკულუმში და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და წინასწარ ინფორმირებულობას. ვალიდურობა გარანტირებულია იმით, რომ შეფასება ეფუძნება იმ კომპონენტაბსა და უნარებს, რომელიც ესგ-ით არის განსაზღვრული. სანდოობა და ობიექტურობა მიიღწევა სტანდარტიზებული კრიტერიუმებისა და მრავალმხრივი შეფასების ფორმების გამოყენებით. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	დაწყებითი საფეხური: სკოლაში გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი ფორმები - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შეფასების დოკუმენტებში გათვალისწინებულია კომენტარების ველი, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიღწევების ანალიზსა და განმავითარებელი შეფასების განხორციელებას; შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და მოსწავლის უნარების განვითარებასთან. თუმცა, შეფასების სისტემაში საჭიროა კრიტერიუმების მეტად დაზუსტება, არ არის საკმარისად დეტალიზებული დონეების მიხედვით და ზოგიერთ შემთხვევაში შეფასება უფრო ინსტრუქციულია, ვიდრე შეფასებაზე ორიენტირებული - საჭიროებს მეტად კონკრეტულ და გაზომვად ფორმულირებებს, დონეების მიხედვით აღწერასა და კონკრეტულ

	დავალებებთან უკეთ დაკავშირებას, რათა შეფასების პროცესი სრულად აკმაყოფილებდეს ვალიდურობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე რჩევა: სასურველია შეფასების ინსტრუმენტების მეტად დეტალიზება შეფასების დონეების მიხედვით, შეფასების პროცედურების გამჭვირვალობის გაძლიერება და შეფასების კრიტერიუმების ერთგვაროვანი ფორმატით წარმოდგენა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის შეფასების რუბრიკები შემუშავებულია კათედრაზე ერთობლივად . შეფასების კრიტერიუმები უკავშირდება სტანდარტით გათვლალისწინებულ საგნობრივ სამიზნე ცნებებს , რაც უზრუნველყოფს მათ ვალიდურობას და სანდოობას. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 11 მარტის ბრძანებით №01-03/20), რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობასა და ობიექტურობას. შეფასების სანდოობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის დადასტურება, ასევე მიღებული შედეგების ანალიზი სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ვერიფიკაცია ტარდება გეგმიურად, დირექციის ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. პროცესს წარმართავენ საგნობრივი კათედრის წევრები (როტაციის პრინციპით) ან სპეციალურად შექმნილი კომისია. გეგმიური შემოწმება ხდება წელიწადში ერთხელ, თითოეულ კლასში მოსწავლეთა ნამუშევრების 20%-ის შერჩევით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას, როგორც სკოლის არქივში, ისე, ელექტრონულად; ელექტრონული მონაცემები სათანადოდ დაცულია მომხმარებლის პაროლით. ამასთანავე ხდება მოსწავლის პირადი ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

- კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კათედრის ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პირადი საქმეები;
- ელექტრონული ჟურნალი.

1.2.2. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას.პედაგოგები მათ ეფექტურად იყენებენ მოკლე და გრძელვადიანი სასწავლო მიზნების მისაღწევად.პედაგოგები აქტიურად იყენებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. გაკვეთილები ხალისიანი და საინტერესოა.მატერიალური ლაბორატორიის უქონლობის გამო მოსწავლეები მუშაობენ ვირტუალურ ლაბორატორიაში.უტარდებათ გაკვეთილები ღია სივრცეში. დამატებითი რესურსების სახით ძირითადად იყენებენ PPT-პრეზენტაციებს, მოსწავლეთა მიერ შექმნილ რესურსებს,რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას, მოსწავლეთა ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და მოთხოვნები დაკმაყოფილებულია დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეულ კლასში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის სწავლება ხორციელდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმების საფუძველზე. დავალებების თემატიკა, კომპლექსური დავალებები და შემაჯამებელი სამუშაოების თემატურადაა განაწილებული და ყველა მათგანი ითვალისწინებს ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. რესურსების ხელმისაწვდომობა კი უზრუნველყოფილია მათი სასწავლო პროცესში გამოყენებით. რესურსებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სკოლისა და მასწავლებელების მხრიდან. ყველა სახის რესურსი ორიენტირებულია თემატიკა და მათი გამოყენებით ხორციელდება სასწავლო პროცესი. ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	როგორც გასაუბრებაზე გამოიკვეთა უცხო ენების კათედრა აღჭურვილია ტექნოლოგიურად, მოსასმენი და კომპიუტერული აპარატურით, რაც საშუალებას აძლევს პედაგოგებს გამოიყენონ სასწავლო რესურსები მიზნობრივად და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები და სასწავლო საჭიროებები. ძირითად სასწავლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დამხმარე მასალად გამოყენებულია მრავალფეროვანი ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რომლებიც შეესაბამება შესასწავლ თემებსა და დასახულ მიზნებს. რჩევა : სასურველია, კურიკულუმებში უფრო სრულად აისახოს ის მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და რომელთა შესახებაც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს,ასევე ის რესურსები რომელიც პედაგოგებმა დამატებით მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოადგინეს . ინდიკატორი 2.2.2.1. სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, იშვიათად გვხვდება ციფრული რესურსები და მაორგანიზებელი სქემები. ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. რჩევა: დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში აისახოს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია (განსაკუთრებით VI კლასის)კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.
მათემატიკა	ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებით დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დაადასტურეს მასწავლებლებმა პირადი ინტერვიუს დროს. ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია

	რჩევა-მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს იმ გრიფირებული სახელმძღვანელოებ-დან დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას, რომლებიც თარგმნილია ქართულად და ზოგიერთი ტერმინის დასახელება მთარგმნელის მიერ რამდენადმე განსხვავდება ქართულ ენაში მიღებული და დამკვიდრებული ტერმი-ნებისგან. ვთვლი, რომ როგორც სილაბუსებში, ისე მათემატიკის გაკვეთილებზე გამოყენე-ბული უნდა იქნეს ქართულ ენაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებული მათე-მატიკური ტერმინები, ადგილი არ უნდა ქონდეს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე შინაარსის მქონე ცნების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინე-ბის გამოყენებას.
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლა აღჭურვილია მრავალრფეროვანი რესურსით, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. კათედრებზე მუშაობისას მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, ასახავენ მათ სასკოლო კურიკულიმში და აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს. წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებულია მრავალფეროვანი ციფრული და საგანმანათლებლო რესურსები: Microsoft PowerPoint, Word, Excel, Paint, 3D Paint, Scratch, Sway, Office 365, Code.org, school.emis.ge, ვიდეოგაკვეთილები, YouTube ბმულები და ონლაინ პლატფორმები. სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების განვითარებას, კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში ჩართვას, ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებასა და პრეზენტაციას. ასევე, რესურსები ხელს უწყობს ციფრული წიგნიერებისა და ტექნოლოგიური უნარების განვითარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის

	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები დამატებითი ციფრული რესურსების სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში განთავსებული სასწავლო რესურსები ვალიდურია, შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს,მორგებულია მოსწავლის ასაკობრივ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე. რადგან კურიკულუმები განხილულია და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, აქედან გამომდინარე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე. რჩევა: სასურველია შემუშავებულ და გამოყენებულ იქნას სასწავლო რესურსების ვალიდაციის ფორმა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 სკოლის საზოგადოებრივი საგნობრივი ჭრილის ყველა მასწავლებელის მიერ ხორციელდება საგნობრივი სასწავლო რესურსების წინასწარი შერჩევა, ეს პროცედურა კი ხორციელდება სკოლაში არსებული პროცედურების სრული დაცვით. მათი შერჩევისას უპირატესი ყურადღება ექცევა შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივ მიზნებსა და სტანდარტებს. კათედრაზე არსებობს ტრადიციად ქცეულ ურთიერთთანამშრომლობისა და კონსულტირების ტრადიცია, სადაც ხდება თემატიკის შესაბამისი რესურსების შერჩევა, არგუმენტირებული განხილვა - გაანალიზების საფუძველზე. რესურსების ნაირგვარობა და

	შინაარსის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ასაკობრივი გონებრივ - ინტელექტუალური და საჭიროებების გათვალისწინებით. ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ დამხმარე რესურსების არჩევის დროს კათედრა ერთობლივად მსჯელობს არსებული რესურსების ვალიდაციაზე. კურიკულუმებში ჩასშენებულია მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების ბმულები და მონაცემები. თითოეული რესურსი ნამდვილად შეესაბამება საფეხურის დონეს და აღვიძებს მოსწავლეთა ინტერეესს, ასევე ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას. ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ესთეტიკური აღზრდა	დამხმარე სასწავლო რესურსი არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აკმაყოფილებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას საგნებში მუსიკა /სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. რესურსები დახმარებას უწევს მასწავლებლებს შემოთავაზებული მრავალფეროვან აქტივობების განხორციელებაში, მოსწავლეებს საგნების სწავლა-სწავლებაში. ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროს. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ახალი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია შესაბამისი წესით. ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველ-ყოფს კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას სასწავ-ლო პროცესში, რაც ჩანს სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში და დაადასტურეს მასწავ-ლებლებმა პირადი ინტერვიუს დროს.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლა უზრუნველყოფს გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. სკოლა მიმართავს რესურსების შინაარსობრივ შეფასებას, რაც ითვალისწინებს მათი საგნობრივ მიზნებთან, ასაკობრივ თავისებურებებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებულ მოთხოვნებთან თანხვედრას. მასწავლებლები, ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში საგნობრივი ჯგუფები ერთობლივად უზრუნველყოფენ იმ მასალების არჩევას, რომლებიც ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხური: სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმისა და მოქმედი საგნობრივი სტანდარტების შესაბამის მრავალფეროვან ელექტრონულ და ციფრულ საგანმანათლებლო რესურსებს. წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებულია განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდირებული საგანმანათლებლო პორტალის - school.emis.ge-ის რესურსები, ასევე Scratch-ისა და Code.org-ის საგანმანათლებლო პლატფორმები, Office 365-ის ციფრული ინსტრუმენტები და სხვა დამხმარე სასწავლო მასალები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საგნობრივ მოთხოვნებს. სკოლის მიერ წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, ხოლო რესურსების ვალიდაციის პროცესი დასტურდება შესაბამისი კათედრის დოკუმენტაციითა და შიდა სამუშაო მასალებით. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების ორგანიზებულ პროცესს. ამასთანავე, ცალკეულ შემთხვევებში გამოიკვეთა რესურსებისა და თემატური საკითხების მოქმედ სტანდარტთან უფრო მკაფიო შესაბამისობის საჭიროება, რაც სასწავლო რესურსების პერიოდული გადახედვისა და განახლების მნიშვნელობას წარმოაჩენს. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს რესურსების ხარისხის კონტროლს, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ზრდასა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაძლიერებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია.მასწავლებლები სარგებლობენ მარტივი,უსაფრთხო რესურსებით,რომელთა საშუალებითაც ავითარებენ მოსწავლეთა კვლევით უნარ-ჩვევებს. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ატარებენ გაკვეთილებს ბუნებაში,აწარმოებენ დაკვირვებას საკლასო სივრცეში.დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ასევე იყენებენ ბუკებს მათში ჩატვირთული დავალებებით საბუნებისმეტყველო საგნებში. საბაზო და საშუალო საფეხურზე პედაგოგები იყენებენ მოდელებს,პრეზენტაციებს, ონლაინ/ვირტუალურ ლაბორატორიებს. ქიმიური ექსპერიმენტებისათვის საჭირო რეაქტივები ინახება სპეციალურ კარადაში,რომელთანაც წვდომა აქვს მხოლოდ პედაგოგს.ქიმიური ექსპერიმენტები ტარდება მხოლოდ უსაფრთხო მასალებით და კარგად განიავებად ოთახში,დაცულია გონივრული დისტანცია . პედაგოგები ატარებენ გასვლით გაკვეთილებს, სასწავლო-შემეცნებით ექსკურსიებს,აწარმოებენ დაკვირვებას საკლასო სივრცეში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე.

	რჩევა: სასურველია სკოლას ჰქონდეს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი საგნობრივი ჭრილის სწავლებისას მასწავლებელები უზრუნველყოფენ მოსწავლეების ხელმისაწვდომობას მატერიალურ რესურსებზე. საკლასო, შემაჯამებელი და სხვა ტიპის დავალებების რაოდენობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სკოლის / მასწავლებელების მხრიდან. სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის არსებობა (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, თემატური რუკები, საკლასო წერისა და შემაჯამებელი სამუშაოს ფურცლები, კომპიუტერული სისტემები, დაფა, ვიზუალური თვალსაჩინოებითი მასალები) და მასწავლებელთა მზაობა (საგნობრივი კომპეტენცია, მოტივაცია და უნარები) იძლევა ყველა მოსწავლის დაკმაყოფილებისა და ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენებაგანხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან,სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა შესაძლებლობა როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსის სახით უზრუნველყოს ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში გათვალისწინებული

	სწავლის შედეგების მიღწევა მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია
სპორტი	სამივე საფეხურზე - კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე საგანმანათლებლო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. ასევე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც შესაძლებელს ხდის თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას და უსაფრთხო, კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას. ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხური: სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით: კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტით, პროექტორით, პროგრამული უზრუნველყოფითა და სხვადასხვა ციფრული პლატფორმით. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები და დავალებები პრაქტიკულად სრულდება კომპიუტერულ გარემოში, რაც ადასტურებს ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობას. მოსწავლეები იყენებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ რესურსებს, მუშაობენ სხვადასხვა პროგრამასა და ონლაინსერვისში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს რესურსებზე თანაბარ წვდომას ყველა მოსწავლისთვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით, რაც ხელს უწყობს კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრაციული, პედაგოგიური და დამხმარე ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია 39 უფროსი და წამყვანი მასწავლებელი, ადმინისტრაციული პერსონალი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები და ტექნიკური პერსონალი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას.თუმცა მასწავლებლების პირადი საქმეებისა და საათობრივი დატვირთვების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები ფლობენ შესაბამის პროფესიულ სტატუსს. თუმცა ამასთან, გამოიკვეთა, რომ დაწყებითი კლასების პედაგოგები დამატებით ასწავლიან მუსიკას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და სპორტს, თუმცა მათ არ აქვთ დადასტურებული ზემოაღნიშნული საგნობრივი კომპეტენცია. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ითვალისწინებს, რომ მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს იმ საგნის სწავლებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რომელსაც ასწავლის. შესაბამისად, მხოლოდ დაწყებითი განათლების პედაგოგის სტატუსის ფლობა ვერ ჩაითვლება მუსიკის, ხელოვნებისა და სპორტის სწავლების საკმარის საფუძვლად, თუ დამატებით არ არის დადასტურებული შესაბამისი საგნობრივი კომპეტენცია,რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას რომ სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი დაწყებით საფეხურზე. სკოლამ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი, რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც **„მეტწილად შეესაბამება“.** სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლას მიეცეს რეკომენდაცია, უზრუნველყოს მუსიკის, ხელოვნებისა და სპორტის საგნების სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის საშტატო ნუსხა
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წწ.
- პირადი საქმები;

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა.
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- •განხორციელებული პროექტების ბმულები;
- •ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

1.3. **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

1.3.1. **მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად და წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს. სკოლაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება ციკლს — „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". მონიტორინგის პროცესში გამოიყენება სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი, SWOT ანალიზი, სასწავლო პროცესზე დაკვირვება და მიღებული შედეგების შეფასება.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, მიმდინარე პროცესების შეფასებაში ჩართული არიან სასწავლო ნაწილი, საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო და ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე მუდმივად მუშაობენ. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ სკოლა მონიტორინგის პროცესში ძირითადად შემოიფარგლება ზეპირი უკუკავშირითა და ინტერვიუები

რჩევა: სასურველია სკოლაში უფრო მეტად დაინერგოს კითხვარებისა და სისტემური გამოკითხვის პრაქტიკა მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ჩართულობით, რაც ხელს შეუწყობს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და კურიკულუმის განვითარების პროცესის კიდევ უფრო ეფექტიან დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ხორციელდება სასწავლო პროცესის დაკვირვება, SWOT ანალიზი, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მიღება და შედეგების შეფასება, რის საფუძველზეც სკოლა გეგმავს შესაბამის აქტივობებსა და გაუმჯობესების ღონისძიებებს.

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებები განიხილება პედაგოგიურ საბჭოსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში, ხოლო მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე იგეგმება შემდგომი ნაბიჯები და სამოქმედო გეგმები

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში მიმდინარე მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონიტორინგის პროცესში სკოლა იღებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისა და მასწავლებლებისგან, აანალიზებს გამოვლენილ საჭიროებებს და გეგმავს შესაბამის მხარდაჭერის ღონისძიებებს.

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, მასწავლებლებისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ასევე, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების დაცვას, სასკოლო კლუბების, პროექტებისა და მხარდამჭერი აქტივობების განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ;
- საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწ.წ.;
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების უკუკავშირის ნიმუში;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა.

1.3.2. **სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა სკოლაში ჰოლისტურ ხასიათს ატარებს — მონაცემების შეგროვება და ანალიზი ხორციელდება მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით. ეს მოიცავს როგორც მოსწავლეთა ნამუშევრებსა და აკადემიური მოსწრების მონაცემებს, ასევე მასწავლებლის დაკვირვებებს, მოსწავლეთა თვითშეფასებასა და მშობელთა უკუკავშირს.

მასწავლებლები აქტიურად იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს. შეფასების პროცესი მოიცავს შედეგების ანალიზს და რეფლექსიას არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ დონეზეც — სწავლების ძლიერ და სუსტ მხარეთა განსაზღვრას და რემედიაციის საჭიროებების დაფიქსირებას. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები გამჭვირვალე და ობიექტურია, რაც მოსწავლეებისთვის შეფასების პროცესს გასაგებს და სამართლიანს ხდის.
სკოლის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს კვლევითი კომპონენტის მნიშვნელობა და გეგმავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) ინფორმაციის მიზნობრივ შეგროვებას სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით.სკოლაში არსებული ჰოლისტური და მრავალწყაროიან მონაცემებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასების პროცესში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, სასწავლო გარემოს, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს, სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებს, ასევე სკოლის შიდა და გარე საჭიროებებს. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება SWOT ანალიზი, ინტერვიუები, უკუკავშირი, პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების მუშაობის შედეგები.

სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებულ რეკომენდაციებს, სასწავლო პროცესის სპეციფიკასა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. პროცესში ჩართული არიან სასწავლო ნაწილი, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარების ჯგუფი და ადმინისტრაცია, რაც უზრუნველყოფს შეფასების მრავალმხრივ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მიდგომას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლაში შეფასების პროცესი ეფუძნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან შეფასებასა და განვითარებას. სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს, ინტერვიუებს, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, SWOT ანალიზს, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზსა და პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების მუშაობის შეფასებას.

შეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართული სასწავლო ნაწილი, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ახორციელებენ გაკვეთილებზე დაკვირვებას, განმავითარებელი უკუკავშირის გაცემასა და სასწავლო პროცესის ანალიზს. ასევე, სკოლაში გამოიყენება თვითრეფლექსიისა და თანამშრომლობითი მუშაობის მიდგომები, რაც ხელს უწყობს როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორისა და კონტექსტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა განვითარების პროცესის მრავალმხრივ ანალიზს. პედაგოგები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ასაკობრივ თავისებურებებს, სწავლის ტემპს, ინტერესებსა და საჭიროებებს.

შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა არა მხოლოდ აკადემიურ მიღწევებს, არამედ იმ გარემო პირობებსაც, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესსა და განვითარებაზე. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ მდგომარეობას, მოტივაციას, სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობას, საკლასო გარემოსა და ინკლუზიური განათლების საჭიროებებს. პედაგოგები დაკვირვების, განმავითარებელი უკუკავშირის, ინტერვიუებისა და თანამშრომლობითი მუშაობის საფუძველზე აანალიზებენ მოსწავლეთა პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში გეგმავენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები;
- მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- სასწავლო პროცესზე დაკვირვების ფორმები/ანგარიშები;
- განმავითარებელი უკუკავშირის ნიმუშები;
- SWOT ანალიზის დოკუმენტი;

- მშობელთა კრებების ოქმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- შეფასება:
  - გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
  - ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

1.4. **კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

1.4.1. **წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სტრუქტურაში მკაფიოდ ჩანს, რომ სკოლა სისტემურად აფასებს მიმდინარე სასწავლო პროცესს, იდენტიფიცირებს საჭიროებებს და ამ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გეგმავს შესაბამის აქტივობებს. გეგმა მოიცავს როგორც კურიკულუმის რევიზიასა და მოდიფიცირებას, ასევე ახალი პროგრამების შემუშავებას, რემედიაციისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დანერგვას, შეფასების სისტემის გაუმჯობესებას და ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვას. გარდა ამისა, დოკუმენტში ასახულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის (საგნობრივი კათედრები,

პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, ინკლუზიური განათლების ჯგუფი და სხვ.) მონაწილეობა საჭიროებათა იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების შემუშავებაში. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები, საჭირო რესურსები და ინდიკატორები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტიან მონიტორინგს. სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის გამოყენებას, კვლევითი ინსტრუმენტების (კითხვარები, გამოკითხვები) დანერგვას და მიღებული შედეგების ანალიზს, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს რეკომენდაციების პაკეტის ჩამოყალიბებას კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და მხარდაჭერისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის №11 საჯარო სკოლაში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სტრუქტურა აჩვენებს, რომ კურიკულუმის გადახედვის პროცესი არის უწყვეტი და განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი, რომელიც ეფუძნება სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას, გამოვლენილ საჭიროებებსა და შეფასების შედეგებს. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება SWOT ანალიზი, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, უკუკავშირი და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შედეგები. საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო და ხარისხის განვითარების ჯგუფი სისტემატურად აანალიზებენ სასწავლო პროცესს, მოსწავლეთა მიღწევებსა და არსებულ გამოწვევებს, რის საფუძველზეც იგეგმება კურიკულუმის მოდიფიცირება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. კურიკულუმის განვითარების პროცესში სკოლა ითვალისწინებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებას და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

რჩევა:: სასურველია სკოლამ უფრო ეფექტურად გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები — სისტემური კითხვარები, ანონიმური გამოკითხვები, ფოკუსჯგუფები და რეგულარული საკონსულტაციო შეხვედრები მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების აზრის უფრო სრულყოფილად შესწავლას, ჩართულობის გაზრდასა და კურიკულუმის განვითარებაში მათი აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (2025);
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწ.წ.;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების უკუკავშირის ნიმუში.
- კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - ელენე კალანდაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ნატო კლდიაშვილი

საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი; წევრი)

ნინო ავალიანი (უცხოური ენის ექსპერტი; წევრი) 

გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის ექსპერტი, წევრი)

მაკა ინაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი, წევრი) 

ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი, წევრი)

მამუკა ხაჩიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი, წევრი)

ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის ექსპერტი, წევრი)

ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების ექსპერტი, წევრი)

თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი, წევრი)